# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 29 ივნისი 2007 №147 (3070) ფასი 50 თეთრი


# ევროსეზონიონი

## დღეს: უეფას წილი ქართულ სამეულს



დღეს, თბილისის დროით, 16 საათისთვის ქართული გუნდების საევროთასო მეტოქეები უკვე გამოვლენილნი იქნებიან.

შვეიცარიულ ნიონში, სადაც მონაწილე კლუბების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა, ჯერ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა გაიმართება, საათნახევარში კი უეფას თასის მონაწილენიც დაწყვილდებიან.

უეფას შტაბ-ბინაში საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს" კლუბის პრეს-ატაშე მიხეილ ჯორბენაძე წარადგენს, ვიცე-ჩემპიონ თბილისის „დინამოს" მმართველი და ტექნიკური დირექტორები, გიორგი ტყავაძე და ამირან ლიბრაძე, თასის მფლობელ „ამერს" კი იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი კახა ნიკურაძე.

გუშინ უეფას ოფიციალურმა ვებ-გვერდმა განთესვის ბადეები გამოაქვეყნა, სადაც მოულოდნელი მხოლოდ ის იყო, რომ „დინამოს" სავარაუდო მეტოქეებს ჩრდილოეთ ევროპის შესარჩევ ზონაში გადასროლილი ბელარუსული გუნდები გამოაკლდნენ.

იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდები

## რეალმა კაპელო 18 მილიონად მოხსნა





## ასპროცენტიანი ამბავი: ტოპმიოლერი ლაუტერნს არ დათანხმდება!

ინტერვიუ რალფ მინგესთან
იხილეთ მეორე გვერდზე

საკმაო ხანია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს არ შევხმიანებივართ — საფეხბურთო სეზონის დასრულებასთან ერთად, ძალაუნებურად, რალაცნაირად, „შვებულებასავით" გამოგვივიდა. ეს დღეებია, ეროვნული გუნდის თავკაც კლაუს ტოპმიოლერს ვერა და ვერ დავუკავშირდით, თუმც, სამაგიეროდ, გუშინ მის თანაშემწე რალფ მინგეს ვესაუბრეთ და ინტერვიუსაც აქვე გთავაზობთ...



# ასპროცენტიანი ამბავი: ტოპმიოლერი კაიზერსლაუტერნს არ დათანხმდება!

## მინგეს რეისი: ჩეხეთი-გერმანია-საქართველო

— საფრანგეთთან მატჩის შემდეგ რითი ხართ დაკავებულნი?

— თამაშის შემდეგ დიუსელდორფში შევიკრიბეთ, სადაც ვიდეოანალიზით განვიხილეთ განვლილი მატჩები და საერთოდ, მთელი გასული სეზონი. შემდეგ 21-წლამდელებების ესპანეთთან ჩატარებული მატჩიც გავარჩიეთ... მოკლედ, არც ერთი ნაკრები უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია...

— ბოლო ხანს ქართველ ფეხბურთელებს ხომ არ შეხმიანებიხართ?

— არა, ჯერჯერობით ყველა სეზონისწინა მზადებითაა დაკავებული და ჩვენც უფრო მომავლის დაგეგმვით ვართ დაკავებულნი.

— ამ ბოლო დღეებში ერთბაშად რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი წავიდა ევროპაში სათამაშოდ. მაგალითად: გიორგი შაშიაშვილი „შტურმში" გადავიდა, გიორგი სეთურიძე და გიორგი ონიანი „კარლ ცაისში" მიდიან, სანდრო იაშვილი შვეიცარიულ „თუნში"... რას იტყვით ამის თაობაზე?

— იმაში, რომ დღეს ეს ქართველი ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში მიდიან და არა ცუდი ქვეყნების მეორე-მესამე ლიგებში, უდიდესი წვლილი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს მიუძღვის — ისინი აქ ჩამოყალიბდნენ ფეხბურთელებად. დანარჩენი კი ამ ყველაფრის ლოგიკური გაგრძელებაა, მომდევნო ნაბიჯია, რაც, ვფიქრობ, ეროვნული ნაკრებისთვისაც ძალიან კარგია.

— თბილისის „დინამო" გერმანიაშია შეკრებაზე, „ამერი" კი — ჩეხეთში. მათ ნახვას ხომ არ აპირებთ?

— ჯერ კიდევ თასის ფინალამდე დიდხანს ვესაუბრე „ამერის" მწვრთნელს, რომელმაც სამომავლო გეგმებზე და მათ შორის ჩეხეთის შეკრებაზეც მითხრა. ვიცი, რომ „ამერს" რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა აქვს დაგეგმილი საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან. ძალიან მინდა, ამ თამაშებს დავესწრო და თუ ხელი არაფერმა შემიშალა, „ამერის" ჩეხეთში მონახულებას აუცილებლად ვაპირებ.

— კლაუს ტოპმიოლერთან დაკავშირებას ვერაფრით ვახერხებთ და იქნებ თქვენ გვითხრათ მასზე რამე...

— კლაუსი გერმანიაშია, თუმცა ამჟამად კონკრეტულად რას საქმიანობს, ნამდვილად არ ვიცი.

— გერმანულ გაზეთებში კიდევ ერთხელ დაიწერა, რომ „კაზერსლაუტერნს" მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერი სურს...

— გაზეთებს შეუძლიათ წერონ ის, რაც სურთ, მაგრამ შაბათს ველაპარაკე კლაუსს და ასი პროცენტით ვიცი, რომ იგი ამ წინადადებაზე დათანხმებას არ აპირებს. ჩვენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ვართ.

— საქართველოში როდის ჩამოდიხართ?

— კიდევ ერთი სამუშაო შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი გერმანიაში, ნაკრების ვიდეომასალა ერთხელაც უნდა დავამუშავოთ, ივლისის ბოლოსთვის კი საქართველოში ვიქნები. უახლოეს ამხანაგურ მატჩამდე უმაღლესი ლიგის მწვრთნელებთან შეხვედრაც გვინდა.

— რაც შეეხება ლუქსემბურგთან ამხანაგურ მატჩს — სად გეგმავთ შეკრებას?

— თამაშამდე ორი დღით ადრე ლუქსემბურგში შევიკრიბებით. დრო საკმაოდ ცოტა გვექნება და მისი აქეთ-იქით სიარულში დახარჯვა ნამდვილად არ ღირს.

**ნინო სილაგაძე**

# ლომაია უქმობს, აგენტები მუშაობენ



**ჯერაც** უგუნდოდაა საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია. კულუარული ინფორმაციით, იგი დნიპროპეტროვსკის „დნიპროში" იყო გასინჯვაზე, თუმც უკრაინელები ქართველი მეკარით დაინტერესებაზე არაფერს წერენ...

„უკრაინაში მართლაც ვიყავი, მაგრამ პირად საქმეებზე. ჯერჯერობით არც „დნიპროდან" და არც სხვა კლუბიდან წინადადება არ მიმიღია" — გვითხრა ლომაიამ.

ნაკრების მეკარე დარწმუნებულია, რომ ახალ კლუბს მალე გამონახავს.

„ჩემს ტრანსფერზე მამუკა ჯულული და ახრიკ ცვეიბა მუშაობენ. ისინი რამდენიმე კლუბთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს და, როგორც მითხრეს, უკმაყოფილო არ დავრჩები. სათამაშო პრაქტიკა აუცილებლად მჭირდება და ისეთი გუნდი უნდა მოიძებნოს, რომ სისტემატურად ვითამაშო და ამბიციაც გააჩნდეს. უახლოეს დღეებში ყველაფერი გადაწყდება" — გვითხრა გიორგიმ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პეპსი ზუგდიდელებმა დალიეს

**დღეს** ქობულეთში დასრულდა „პეპსის" თასის გათამაშება სკოლბურთში: ზუგდიდის I საშუალო საჯარო სკოლის და თბილისის 87-ე სკოლის გუნდების შეხვედრა 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში კი ზუგდიდელებმა 3:2 იმარჯვეს.

მესამე ადგილი ამბროლაურის I სკოლის გუნდმა დაიკავა, რომელმაც ქუთაისის მე-40 სკოლას ასევე პენალტების სერიაში სძლია 2:1. ძირითადი დრო აქაც 0:0 დასრულდა.

ტურნირის ორგანიზატორებმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ეზოს ფეხბურთის ასოციაციამ და გენერალურმა სპონსორმა კომპანია „პეპსიმ" გამორჩეულ ფეხბურთელებს სამახსოვრო პრიზებიც გადასცეს: საუკეთესო მეკარე ზუგდიდელი ნიკოლოზ ხოჭოლავა გახდა, საუკეთესო მცველი ამბროლაურელი გიორგი ლომსაძე, ხოლო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო თბილისის 87-ე სკოლის მოსწავლემ ევგენი ევყანაშვილმა მოიპოვა. იმავდროულად, ის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. სიმპათიის პრიზით ქუთაისელი გიორგი გულისკრია დაჯილდოვდა, ხოლო ტურნირის აღმოჩენად ბოლნისელი აჩიკო მესხი აღიარეს.

„პეპსის" თასის გათამაშების ფინალურ ეტაპს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტები, გოგი ქავთარაძე და გრიგოლ ცაავა, გენმდივანი უჩა უგულავა დაესწრნენ.

შარშანდელთან შედარებით, სკოლბურთში „პეპსის" თასის გათამაშებაში თითქმის ორჯერ მეტი — 1000-ზე მეტი სკოლა მონაწილეობდა. ერთი წლის წინ სკოლბურთში მხოლოდ დედაქალაქის სკოლები მონაწილეობდნენ, წლეულს კი საკვალიფიკაციო ტურნირი მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა.

# ალადაშვილის ორი რუსული გზა

**კიევის** „დინამომ" სამივე ქართველი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა: ოთარ მარცვალაძე კიევშია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იქაურ „არსენალში" გააგრძელებს კარიერას, დავით იმედაშვილიც უკრაინის დედაქალაქშია, ხოლო კახა ალადაშვილი თბილისშია, გუშინ „ოლიმპ" — „მერანის" ტესტ-მატჩს უყურებდა და ჩვენც მაშინ გამოველაპარაკეთ...

„სამ დღეში რუსეთში მივდივარ. ორი იქაური გუნდი მიწვევს, ერთი პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის იბრძვის. წინასწარ დაკონკრეტება არ მინდოდა, სჯობს, დაველოდოთ".

**ნუკრი ლოლაძე**

# კაუნასმა სუპერთასიც ჩაიხუტა

**ნუკრი მანჩხავასა** და გივი კვარაცხელიას „კაუნასმა" ლიტვის სუპერთასი მოიგო — მარიუპოლის „სუდუვას" 1:0 სძლია. ორივე ქართველმა ეს მატჩი სრულად ჩაატარა.

„კაუნასი" ლიტვაში ტიტულებს აგროვებს — გუნდი შარშანაც ჩემპიონი გახდა და წლეულსაც სოლიდურად ლიდერობს.

კაუნასელთა საკუთრებაა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი აკაკი ხუბუტიაც, რომელსაც რამდენიმე დღეში უმთავრდება „შილუტეში" განათხოვრების ვადა.

**ილია ნანობაშვილი**

# მჟავანაძე ოდესამ დაიტოვა

**კახა მჟავანაძე** „ჩერნომორეცში" დარჩება — ასეთია ოდესური კლუბის გადაწყვეტილება. „ჩერნომორეცში" ახალი მწვრთნელი, ვიტალი შევჩენკო მივიდა და გუნდში კარდინალურ ცვლილებებს ელიან, ანუ აქამდე დაწუნებულ და ძირითადიდან ამოვარდნილ ფეხბურთელებს ხელმეორედ ეძლევათ შანსი.

მჟავანაძემ ბოლო თვეები მახაჩყალის „ანჟიში" გაატარა განათხოვრებით, გუშინ კი „ჩერნომორეცისა" და მოლდოვის „ოლიმპიას" ტესტ-მატჩში ითამაშა, რომელიც ოდესელებმა 7:0 მოიგეს. კახა პირველ ტაიმში გაისარჯა.

**ილია ნანობაშვილი**

# გელაშვილი ბრიუგეში გამოჩნდა



ნიკა გელაშვილი (მარჯვნივ)

**ბელგიის** ერთ-ერთმა გრანდმა „ბრიუგემ" ახალი სეზონისთვის მზადება 25 ივნისს დაიწყო. „ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელი ნიკოლოზ გელაშვილი ამჟამად ბელგიაშია და „ბრიუგეს" ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

გელაშვილი ადრეც იყო „ბრიუგეში" გასინჯვაზე. მაშინ ბელგიელებს ჩვენებური კი მოეწონათ, მაგრამ მისი დატოვება არ გადაუწყვეტიათ. ახლა ნიკა ისევ ეცდება, „ბრიუგეს" მწვრთნელებს თავი მოაწონოს.

ქართველ ფეხბურთელს თავის გამოჩენის შანსი საკონტროლო მატჩებში მიეცემა, რაც „ბრიუგეს" მრავლად აქვს დაგეგმილი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### შვედეთი

სუპერეტა. XII ტური

ბანკეფლო 3:1 სირიუსი
ფალკენბერგი 2:1 ლიუნგსკილე
ჰეკენი 1:0 მიალბი
იოსტერსი 0:3 ატვიდაბერგი
სუნდსვალი 4:0 იონკოპინგი
სილვია 1:1 ენჩიოპინგი

თასის მერვედფინალი

ჰელსინგბორგი 1:2 ლანდსკრონა

### ნორვეგია

თასის მეთექვსმეტედფინალი

ბრინი 1:2 ლინი
ლილესტრიომი 4:0 ბეირუმი
სკეიდი 0:2დ.დ.(0:0) რუსენბორგი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა

XI ტური

ჰაკა 2:0 ოულუ
ინტერი 1:1 ჰიკ
ვაასა 1:0 კტპ

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი

VIII ტური

ვალიური 4:1 ჰაფნარფიორდური
რეიკიავიკი 2:1 ფრამი

### ამხანაგური მატჩები

მალაიზია 0:2 იამაიკა
ირანი 4:2 განა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბადრი კოთოლაძის ფოტო

დიმიტრი რამიშვილი და პაატა ბურჭალიანი

# პროფლიგის აქეთ-იქითური

## პაატა ბურჯალიანი გენერალური მდივანია

**გუშინ** პროფლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა, სადაც რამდენიმე საინტერესო საკითხი გადაწყდა — მე-19 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე ოდნავ მეტი დარჩა და პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილის მთავარი სალაპარაკო თემაც ეს იყო...

თუმც მანამდე რამიშვილმა პროფლიგის ახალი გენერალური მდივანი წარგვიდგინა — პაატა ბურჯალიანი, რომელიც აქამდე პროფლიგის პრეს-ატაშედ იყო.

„პაატა ბურჯალიანის დანიშვნა ჟურნალისტებსაც გაგახარებთ, იგი ხომ აქამდეც უშუალოდ თანამშრომლობდა თქვენთან. ბურჯალიანი დაარსების დღიდან მუშაობს პროფლიგაში" — გვითხრა რამიშვილმა.

თავად ბურჯალიანმა მადლობა თქვა ნდობისთვის, ხოლო ვინ იქნება პროფლიგის ახალი პრეს-ატაშე, ეს უცნობია. ჯერჯერობით, ამ სამუშაოს დროებით ისევ ბურჯალიანი შეითავსებს.

ახლა კი პროფლიგის სამუშაო გეგმებსა და ცვლილებებზე...

**დიმიტრი რამიშვილი:** უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი იქნება, საგაისო სეზონისთვის კი 12-გუნდიანზე ვაპირებთ გადასვლას. სამი გუნდი გავარდება, ერთი გადმოვა, პლუს უმაღლესი ლიგის ბოლოდან მეოთხეზე გასული პირველი ლიგის მეორეადგილოსანს პლეი ოფში შეხვდება...

...დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის" გათამაშება იგივე ფორმატით ჩატარდება. ვიფიქრეთ სხვა ფორმატებზეც, თუმც ყველაფერი უცვლელად დავტოვეთ...

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, ბავშვთა ლიგის პროექტზეც ვილაპარაკეთ: ლიგაში ოთხ ასაკში, 1990, 1991, 1992 და 1993 წელს დაბადებულებში გაიმართება პირველობები, რომლებიც გივი ჩოხელის (1991), მიხეილ მესხის (1992), სლავა მეტრეველის (1993) და ვიტალი დარასელიას (1994) სახელობისა იქნება.

...მაქსიმალურად უნდა ვიზრუნოთ სტადიონების გაკეთებაზე. როგორც იცით, 2008-2009 წლების სეზონიდან ყველა კლუბს უნდა ჰქონდეს ლიცენზია. კლუბებმა 5 ივლისამდე უნდა წარმოგვიდგინონ პროგრამა უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის მზადყოფნაზე. ბუნებრივია, ფინანსურ გარანტიებს აუცილებლად მოვითხოვთ. მესმის, ძნელია ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ძველებურად აღარ ვიმოქმედებთ და უძლურ კლუბებს ვერ დავრთავთ ჩემპიონატში თამაშის ნებას...

...შესაძლოა თუ არა, რომ წლეულს 12-გუნდიანი იყოს უმაღლესი ლიგა? ჩვენ ჯერ არ ვიცით ზოგიერთი კლუბის მდგომარეობა, ასე რომ, ზუსტ პასუხს ვერ ვიძლევით...

...სტადიონზე ბილეთების გაყიდვას ამ სეზონშივე ჩაეყრება საფუძველი, ჩვენ ბილეთების მინიმალურ ფასს დავაწესებთ. შესაძლოა, შეიცვალოს წამახალისებელი ლატარიის სისტემაც...

პაატა ბურჯალიანმა კი დებულებებში შეტანილ ცვლილებებზე გვითხრა: კლუბებმა უნდა დააკონკრეტონ, ესა თუ ის ფეხბურთელი ფარმ-კლუბში ჰყავთ თუ მთავარ გუნდში; სათამაშო ფორმას მასპინძელი გუნდი აირჩევს; უმაღლესი და პირველი ლიგების მატჩებზეც ოთხის ნაცვლად, ხუთი ბურთი იქნება სტადიონზე; მასპინძელმა გუნდმა თამაში ვიდეოფირზე უნდა გადაიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარიმად 100 ლარი გამოეწერება და თუ იგივე შემდეგაც გამეორდება, თანხა გაორმაგდება.

ერთიც: შარშან სუპერთასი დეკემბერში გაიმართა, მაგრამ წლეულს შესაძლოა, ზაფხულში ჩატარდეს. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შორს წავლენ ევროტურნირებზე რუსთავის „ოლიმპი" და თბილისის „ამერი". ანუ თუ ადრევე დაემშვიდობებიან ევროსარბიელს, ზაფხულშივე გამოინახება სასუპერთასო დრო, თუ არა და, მაშინ ალბათ ისევ დეკემბერში...

**ილია ნანობაშვილი**

# სამი ახალი მგელი

**ზუგდიდის** „მგლები" აგრძელებს სადებიუტო უმაღლესლიგური სეზონისთვის მზადებას. მათ ფინანსურად არ უჭირთ და სხვადასხვა კლუბებიდან რამდენიმე ფეხბურთელიც გადაჰყავთ.

აი, მაგალითად: ამ დღეებში „მგლებმა" ერთბაშად სამი ფეხბურთელი შეიმატა — გიორგი კრასოვსკი, რომელმაც შარშან ქუთაისის „ტორპედოში" დაიწყო სეზონი და შემდეგ აზერბაიჯანს მიაშურა. ასევე ტორპედომოვლილი გიორგი ჭედია და მეკარე მანუჩარ ივარდავა, ვინც ბოლოს სომხეთში თამაშობდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ოლიმპი ტესტებით დაიტვირთა

## რამდენ აფრიკელს დაიტოვებს ჩემპიონი?

**საქართველოს** ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა — მეტოქედ თბილისის „მერანი" ჰყავდა და 2:0 იმარჯვა.

„ოლიმპში" სამივე შავკანიანმა ითამაშა — პირველ ნახევარში მარცხენა მცველმა ერნესტ აკუასაგამ, მეორეში კი მარჯვენა მცველმა ჯერი აკაიონკუმ და საყრდენმა ნახევარმცველმა ერიკ ბუსამბემ.

ყველაზე კარგი შთაბეჭდილება აკუასაგამ დატოვა, არა უშავს აკაიონკუსაც, ხოლო ერიკ ბესამბეს ალბათ სამშობლოში გაბრუნება არ ასცდება.

პირველ ნახევარში „ოლიმპმა" მეტოქე აშკარად დაჯაბნა: მე-3 წუთზე გელა ხუბუამ შორიდან გაუტანა „მერანს", მეორე გოლი კი რუსთაველებს თბილისელთა მეკარე კახა გლუნჩაძემ აჩუქა. იგი კარიდან გამოვიდა და ბურთი აუტზე გადააგდო. ოლიმპელმა ლადო დვალიშვილმაც სწრაფად მიაწოდა ჯაბა დვალს, რომელსაც მიტოვებული კარის დალაშქვრა აღარ გასჭირვებია.

მეორე ტაიმში თამაზ კოსტავას „მერანი" ოდნავ კი გამოცოცხლდა, მაგრამ მხოლოდ დავით სევასტოპულოს საჯარიმოდან გარტყმულ ხარიხას გამორჩა. მატჩის მიწურულს კი რუსთაველმა ხუბუამ ჯერ ერთ ძელს მოახვედრა, შემდეგ მეორეს.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*ოლიმპი:* *ა. ალავიძე, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, აკუასაგა, ნავალოვსკი, კახელიშვილი, ხუბუა, სილაგაძე, კოშკაძე, დვალი, დვალიშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: მერლანი, კ. მახარაძე, გეწაძე, ორბელაძე, აფციაური, გივაური, სებისკვერაძე, აკაიონკუ, ბუსამბე.*

*მერანი:* *გლუნჩაძე, ლოლაძე, ლ. გრიგალაშვილი, ნადირაშვილი, სარალიძე, ავალიანი, მგალობლიშვილი, ბ. ნოზაძე, ფურთუხია, კობერიძე, სევასტოპულო.*

*შეცვლაზე შევიდნენ: სეფიაშვილი, ქემაშვილი, დოლიძე, ა. ნოზაძე, ლორთქიფანიძე, ბურჯანაძე, ბოკუჩავა, ქომუხტაშვილი, ჯანგიძე*

**ნუკრი ლოლაძე**



ჯერი აკაიონკუ



ერნესტ აკუასაგა



ერიკ ბესამბე

# დინამომ მოყვარულებს აჯობა

## გრიშიკაშვილისთვის გერმანია დამთავრდა

**თბილისის** „დინამომ" გერმანულ შეკრებაზე პირველი მატჩი გამართა და იქაურ ქვედალიგელ „შტაინაზეს" 4:1 მოუგო.

ანგარიში 28-ე წუთზე გიორგი ფეიქრიშვილმა გახსნა სანდრო კობახიძის პასით, ორ წუთში ფეიქრიშვილის გადაცემა მიხეილ ხუციშვილმა აქცია გოლად. 41-ეზე ისევ ხუციშვილმა გაიტანა შოთა კაშიას პასით, ზედ შესვენების წინ კი გერმანელებმა ერთი ბურთი გაქვითეს.

მეორე ნახევარში ერთადერთი გოლი გიორგი მერებაშვილმა შეაგდო 73-ე წუთზე.

„დინამოს" თავკაცმა დუშან უჰრინმა „შტაინაზესთან" ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

*პირველი ტაიმი: ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო, თომაშვილი, ფეიქრიშვილი, ფირცხალავა, დილმელაშვილი, ხუციშვილი, ხპასოევიჩი, კობახიძე.*

მეორე ტაიმში უჰრინმა გურამ კაშიასა და მილოშ კრშკოს გარდა, ყველა გამოცვალა. *შეცვლაზე შევიდნენ: ოვონო, გველესიანი, რაიმონდი, ლობჟანიძე, ხმალაძე, მერებაშვილი, ჯანაშია, ოდიკაძე, გოწირიძე.*

სამწუხაროდ, „დინამო" ტრავმიანობას ვერ ასცდა — მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა მარცხენა ხელის თითი მოიტეხა და გუშინვე გაუკეთეს ოპერაცია. ტრავმა სერიოზულია და, ცხადია, გრიშიკაშვილისთვის გერმანული შეკრება დამთავრებულია.

მომდევნო ტესტ-მატჩს „დინამო" 1 ივლისს ასევე გერმანიის ქვედალიგელ „შლოტჰაიმთან" გამართავს.

**ილია ნანობაშვილი**

# ამერი ლიბერეცით დაიწყებს

**საქართველოს** თასის მფლობელი „ამერი" პრაღაში 27 ივნისს, თბილისის დროით, 17 საათზე ჩამოვიდა. აეროპორტში დიდხანს არც შევყოვნებულვართ, ფორმალობებმა რამდენიმე წუთი წაიღო და დაახლოებით ერთ საათში გუნდი „ბლშანის" ბაზაზე დაბინავდა.

ჩეხეთამდე კი ჯერ „ამერი" სტამბოლში ჩაფრინდა, სადაც პრაღის რეისის რამდენიმესაათიან მოლოდინში, ფეხბურთელებმა სასტუმროში ისაუზმეს და მოისვენეს.

ბლშანში ჩასვლისთანავე მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ ფეხბურთელები მსუბუქად ავარჯიშა. გუშინდლიდან კი გუნდმა სრულფასოვანი, ორჯერადი ვარჯიშები დაიწყო.

გუშინდელი დილის ვარჯიშისას, ამერელთა მცველმა დავით მჭედლიშვილმა მცირე ტრავმა მიიღო და ერთი დღით დასვენება მოუწევს.

დღეს „ამერს" „ბლშანთან" უნდა ეთამაშა ტესტ-მატჩი, მაგრამ გეგმები შეიცვალა — პირველ მატჩს ჩვენები ხვალ „ლიბერეცთან" გამართავენ, ზეგ კი „კლადნოს" გაეჯიბრებიან.

**გიორგი დარჯანია**
**ბლშანიდან**



ბადრი კოთოლაძის ფოტო



# დღეს საქართველო ევროინტერესშია

## ოლიმპი, დინამო და ამერი: ვის ვინ შეხვდება?

**დღეს** მთელი საფეხბურთო საქართველოს ყურადღება ნიონისკენაა მიმართული — ამ შვეიცარიულ ქალაქში, რომელსაც შეგვიძლია ევროპული ფეხბურთის დედაქალაქიც დავარქვათ, 2007-08 წლების სეზონის ევროთასების წილისყრა გაიმართება.

ახალი სეზონი, ახალი მეტოქეები, ახალი იმედები — როგორც ხდება ხოლმე, საქართველოში ყველაფერ ახალს ახალი ოპტიმიზმით ხვდებიან და ასეა ამჯერადაც. მით უმეტეს, ბოლო წლებისგან განსხვავებით, შარშანდელ ევროსეზონს ქართული გუნდები საკმაოდ მედგრად დაუხვდნენ და, მართალია, ციდან ვარსკვლავები არ ჩამოუკრეფიათ, მაგრამ ღირსეულად კი იბრძოლეს, რაც უდავოდ დასაფასებელია.

მოკლედ, დავივიწყოთ ძველი სამარცხვინო 2:8-ები, 0:5-ები, 1:6-ები, 0:6-ები, 0:4-ები (და ასე შემდეგ) და ვნახოთ, რას მოგვიმზადებს ბედი სადღეისოდ...

იმ ქართული სამეულიდან, რომელიც ახალ ევროსეზონში ჩაერთვება, დებიუტანტი მხოლოდ ერთია — ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი", რომელიც, ცხადია, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთაველები განთესილთა შორის არიან და თოთხმეტი სავარაუდო მეტოქე ჰყავთ, რომელთა ვინაობასაც ცხრილში ნახავთ. აქ კი იმას გეტყვით, რომ სავარაუდო თოთხმეტეულიდან ოთხი (ბატე, „ლევადია", „ლინფილდი", „HB ტორსჰავნი") ადრეც გადაყრიან ქართულ კლუბებს.

პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სულ 28 გუნდი მონაწილეობს, მათგან გასულ 14-ს კი მომდევნო ეტაპზე კიდევ 14 მაღალრეიტინგიანი დაემატება.

პირველი ეტაპის მატჩები 17-18 და 24-25 ივლისს გაიმართება, მეორე ეტაპისა კი 31 ივლის-1 აგვისტოს და 7-8 აგვისტოს.

უეფას თასზე საქართველოს ორი წარმომადგენელი ჰყავს — ქვეყნის თასის მფლობელი „ამერი" და მეორეადგილოსანი თბილისის „დინამო".

შედარებით მაღალი კოეფიციენტის გამო (3,980) დინამოელები განთესილთა შორის მოხვდნენ, ამერელები კი (1,980), შარშანდლისგან განსხვავებით, განუთესავებში არიან.

ცხადია, არც მათი სავარაუდო მეტოქეების ნახვა გაგიჭირდებათ (ორივე გუნდი ცენტრალურ-აღმოსავლეთ ზონაშია) და აქ მხოლოდ ერთს დავძენთ: უეფას დებულებით, ქართული გუნდები ერთმანეთს ვერ შეხვდებიან.

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 19 ივლისს და 2 აგვისტოს გაიმართება, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კი პირველიდან გასულ 37 გუნდს კიდევ 27 დაემატება (მათ შორის, ინტერტოტოს თასის 11 გამარჯვებული).

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 3 აგვისტოს ნიონში გაიმართება.

წარმატებები ვუსურვოთ ქართულ კლუბებს!

**ბაჩა ზალამბერიძე**





## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
### I საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| განთესილები | განუთესავები |
|---|---|
| დინამო (ხორვატია) | ბატე (ბელარუსი) |
| აპოელი (კვიპროსი) | ტირანა (ალბანეთი) |
| დომჟალე (სლოვენია) | ლევადია (ესტონეთი) |
| ელფსბორგი (შვედეთი) | პიუნიკი (სომხეთი) |
| სარაევო (ბოსნია) | ხაზარი (აზერბაიჯანი) |
| ვენტსპილსი (ლატვია) | ასტანა (ყაზახეთი) |
| ჟილინა (სლოვაკეთი) | ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) |
| დერი სიტი (ირლანდია) | ნიუ საინტსი (უელსი) |
| ჰაფნარფიორდური (ისლანდია) | HB ტორსჰავნი (ფარერები) |
| კაუნასი (ლიტვა) | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) |
| ტამპერე (ფინეთი) | მარშაქსლოკი (მალტა) |
| შერიფი (მოლდოვა) | ზეტა (ჩერნიგორია) |
| **ოლიმპი (საქართველო)** | რეინჯერსი (ანდორა) |
| პობედა (მაკედონია) | მურატა (სან მარინო) |

## უეფას თასი 2007-2008
### I საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

#### სამხრეთი ზონა

| განთესილები | განუთესავები |
|---|---|
| პარტიზანი (სერბეთი) | შიროკი ბრიაგი (ბოსნია) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | ზრინსკი (ბოსნია) |
| მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) | ვარდარი (მაკედონია) |
| ჰაიდუკი (ხორვატია) | რაბოტნიჩკი (მაკედონია) |
| ვოივოდინა (სერბეთი) | ბესა (ალბანეთი) |
| ბეჟანიჯა (სერბეთი) | ტეუტა (ალბანეთი) |
| ანათოსისი (კვიპროსი) | ჰიბერნიანსი (მალტა) |
| ნოვა გორიცა (სლოვენია) | სლიმა (მალტა) |
| სლავენი (ხორვატია) | რუდარი (ჩერნიგორია) |
| ომონია (კვიპროსი) | ბუდუჩნოსტი (ჩერნიგორია) |
| კოპერი (სლოვენია) | სანტა კოლომა (ანდორა) |

#### ცენტრალურ-აღმოსავლეთი ზონა

| განთესილები | განუთესავები |
|---|---|
| არტმედია (სლოვაკეთი) | ზიმბრუ (მოლდოვა) |
| გროცლინი (პოლონეთი) | ნისტრუ (მოლდოვა) |
| იანგ ბოისი (შვეიცარია) | **ამერი (საქართველო)** |
| რიდი (ავსტრია) | ვადუცი (ლიხტენშტაინი) |
| მატერსბურგი (ავსტრია) | ბანანცი (სომხეთი) |
| მტკ (უნგრეთი) | მიკა (სომხეთი) |
| ჰონვედი (უნგრეთი) | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) |
| ბელხატოვი (პოლონეთი) | არაზი (აზერბაიჯანი) |
| **დინამო (საქართველო)** | ალმატი (ყაზახეთი) |
| მორავცე (სლოვაკეთი) | აკტობე (ყაზახეთი) |

#### ჩრდილოეთი ზონა

| განთესილები | განუთესავები |
|---|---|
| ოდენსე (დანია) | სენტ პატრიკსი (ირლანდია) |
| მიდტიულანდი (დანია) | კეფლავიკი (ისლანდია) |
| ვოლერენგა (ნორვეგია) | რეიკიავიკი (ისლანდია) |
| ბრანი (ნორვეგია) | დინამო (ბრესტი, ბელარუსი) |
| ლილესტრიომი (ნორვეგია) | დინამო (მინსკი, ბელარუსი) |
| აიკ (შვედეთი) | ტრანსი (ესტონეთი) |
| ჰელსინგბორგი (შვედეთი) | ფლორა (ესტონეთი) |
| ჰეკენი (შვედეთი) | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) |
| მიუპა (ფინეთი) | დანგანონი (ჩრდ. ირლნადია) |
| ჰიკ (ფინეთი) | კარმარტენი (უელსი) |
| ჰაკა (ფინეთი) | რილი (უელსი) |
| მეტალურგსი (ლატვია) | B-36 (ფარერები) |
| სკონტო (ლატვია) | EB სტრეიმური (ფარერები) |
| სუდუვა (ლიტვა) | ეტცელა (ლუქსემბურგი) |
| ეკრანასი (ლიტვა) | უნიონი (ლუქსემბურგი) |
| დროჰედა (ირლანდია) | ლიბერტასი (სან მარინო) |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღეს ნიონში საგაისო ევროკენჭი იყრება



დღეს, ჩვენი დროით, 14 საათზე, 2007-08 წლების ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა გაიმართება.

თვეზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც „მილანმა“ ათენში „ლივერპული“ დაამარცხა და მეშვიდედ მოიგო ჩემპიონთა თასი. მომდევნო ფინალს კი მოსკოვის „ლუჟნიკი“ უმასპინძლებს.

დღევანდელ წილისყრას უეფას გენერალური მდივანი დევიდ ტეილორი და საშეჯიბრო განყოფილების უფროსი მიკელე ჩენტენარო უხელმძღვანელებენ.

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც საქართველოს ახალი ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპიც“ მონაწილეობს, 28 გუნდს დააწყვილებენ. მათ შორის კი დებიუტანტები არიან ჩერნიგორიის, სან მარინოსა და ანდორის ჩემპიონები.

სალიგო წილისყრიდან საათნახევარში უეფას თასის მაძიებლებიც დაწყვილდებიან. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 74 გუნდი მონაწილეობს, მათ შორის, საქართველოს თასის მფლობელი „ამერი“ და ჩემპიონატის მეორეადგილოსანი თბილისის „დინამო“.

2008 წლის უეფას თასის ფინალი კი „მანჩესტერ სიტის“ სტადიონზე გაიმართება.

**გაჟა ხუციშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008 / უეფას თასი 2007-2008

| ჯგუფური ეტაპი 18.09—12.12 | III საკვალ. ეტაპი 14.08—29.08 | II საკვალ. ეტაპი 31.07—08.08 | I საკვალ. ეტაპი 17.07—25.07 | | | | I ეტაპი 20.09—04.10 | II საკვალ. ეტაპი 16.08—30.08 | I საკვალ. ეტაპი 19.07—02.08 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი, ბარსელონა | სევილია, ვალენსია | | | 4 | ესპანეთი | 3 | ვილიარეალი, სარაგოსა, ხეტაფე | | |
| მილანი, ინტერი, რომა | ლაციო | | | 4 | იტალია | 3 | პალერმო, ემპოლი, ფიორენტინა | | |
| მანჩესტერი, ჩელსი | ლივერპული, არსენალი | | | 4 | ინგლისი | 3 | ტოტენჰემი, ევერტონი, ბოლტონი | | |
| ლიონი, მარსელი | ტულუზი | | | 3 | საფრანგეთი | 3 | სოშო, რენი, ბორდო | | |
| შტუტგარტი, შალკე | ვერდერი | | | 3 | გერმანია | 3 | ნიურნბერგი, ბაიერნი, ლევერკუზენი | | |
| პორტუ, სპორტინგი | ბენფიკა | | | 3 | პორტუგალია | 3 | ბრაგა, ბელენენსეში, ფერეირა | | |
| პსვ ეინდჰოვენი | აიაქსი | | | 2 | ჰოლანდია | 4 | ალკმაარი, ჰერენვენი, ტვენტე, გრონინგენი | | |
| ოლიმპიაკოსი | აეკ | | | 2 | საბერძნეთი | 4 | ლარისა, პანიონიოსი, არისი, პანათინაიკოსი | | |
| ცსკა | სპარტაკი | | | 2 | რუსეთი | 2 | ლოკომოტივი | ზენიტი | |
| | დინამო (ბუქარესტი) | სტიაუა | | 2 | რუმინეთი | 2 | რაპიდი | კლუჟი | |
| | სელტიკი | რეინჯერსი | | 2 | შოტლანდია | 2 | აბერდინი | დანფერმლაინი | |
| | ანდერლეხტი | გენკი | | 2 | ბელგია | 2 | ბრიუგე | სტანდარდი | |
| | დინამო (კიევი) | შახტარი | | 2 | უკრაინა | 2 | მეტალისტი | დნიპრო | |
| | სპარტა | სლავია | | 2 | ჩეხეთი | 2 | ბოლესლავი | იაბლონეცი | |
| | ფენერბაჰჩე | ბეშიქთაში | | 2 | თურქეთი | 2 | | გალათასარაი, ქაისერი | |
| | ციურიხი | | | 1 | შვეიცარია | 3 | | ბაზელი, სიონი | იანგ ბოისი |
| | | ლევსკი | | 1 | ბულგარეთი | 3 | | ცსკა, ლოკომოტივი | ლიტექსი |
| | | ბეითარი | | 1 | ისრაელი | 3 | | ჰაპოელი, მ. ნეთანია | მ. თელ ავივი |
| | | რუსენბორგი | | 1 | ნორვეგია | 4 | | ფრედრიკსტადი | ლილესტრიომი, ბრანი, ვოლერენგა |
| | | ზალცბურგი | | 1 | ავსტრია | 3 | | აუსტრია | რიდი, მატერსბურგი |
| | | ცრვენა ზვეზდა | | 1 | სერბეთი | 3 | | | პარტიზანი, ვოივოდინა, ბეჟანიჯა |
| | | ზაგლები | | 1 | პოლონეთი | 2 | | | გროცლინი, ბელხატოვი |
| | | კოპენჰაგენი | | 1 | დანია | 2 | | | ოდენსე, მიდტიულანდი |
| | | დებრეცენი | | 1 | უნგრეთი | 2 | | | ჰონვედი, მტკ |
| | | | დინამო (ზაგრები) | 1 | ხორვატია | 2 | | | ჰაიდუკი, სლავენი |
| | | | ელფსბორგი | 1 | შვედეთი | 3 | | | ჰეკენი, აიკ, ჰელსინგბორგი |
| | | | ჟილინა | 1 | სლოვაკეთი | 2 | | | მორავცე, არტმედია |
| | | | აპოელი | 1 | კვიპროსი | 2 | | | ანართოსისი, ომონია |
| | | | დომჟალე | 1 | სლოვენია | 2 | | | კოპერი, ნოვა გორიცა |
| | | | სარაევო | 1 | ბოსნია | 2 | | | შ. ბრიაგი, ზრინსკი |
| | | | ტამპერე | 1 | ფინეთი | 3 | | | მიუპა, პიკ, ჰაკა |
| | | | ვენტსპილსი | 1 | ლატვია | 2 | | | მეტალურგსი, სკონტო |
| | | | შერიფი | 1 | მოლდოვა | 2 | | | ზიმბრუ, ნისტრუ |
| | | | ოლიმპი | 1 | საქართველო | 2 | | | ამერი, დინამო |
| | | | კაუნასი | 1 | ლიტვა | 2 | | | სუდუვა, ეკრანასი |
| | | | პობედა | 1 | მაკედონია | 2 | | | ვარდარი, რაბოტნიჩკი |
| | | | ჰაფნარფიორდური | 1 | ისლანდია | 2 | | | კეფლავიკი, რეიკიავიკი |
| | | | ბატე | 1 | ბელარუსი | 2 | | | დინამო (ბ), დინამო (მნ) |
| | | | დერი სიტი | 1 | ირლანდია | 2 | | | დროგედა, პატრიკსი |
| | | | ტირანა | 1 | ალბანეთი | 2 | | | ბესა, ტეუტა |
| | | | პიუნიკი | 1 | სომხეთი | 2 | | | ბანანცი, მიკა |
| | | | ლევადია | 1 | ესტონეთი | 2 | | | ტრანსი, ფლორა |
| | | | მარშაქსლოკი | 1 | მალტა | 2 | | | ჰიბერნიანსი, სლიმა |
| | | | ნიუ საინტსი | 1 | უელსი | 2 | | | კარმართენი, რილი |
| | | | ლინფილდი | 1 | ჩრდ. ირლანდია | 2 | | | გლენტორანი, დანგანონი |
| | | | ხაზარი | 1 | აზერბაიჯანი | 2 | | | ნეფთჩი, არაზი |
| | | | დუდელანჟი | 1 | ლუქსემბურგი | 2 | | | ეტცელა, უნიონი |
| | | | ასტანა | 1 | ყაზახეთი | 2 | | | ალმატი, აკტობე |
| | | | HB ტორსჰავნი | 1 | ფარერები | 2 | | | B-36, EB სტრეიმური |
| | | | ზეტა | 1 | ჩერნიგორია | 2 | | | რუდარი, ბუდუჩნოსტი |
| | | | რეინჯერსი | 1 | ანდორა | 1 | | | სანტა კოლომა |
| | | | მურატა | 1 | სან მარინო | 1 | | | ლიბერტასი |
| | | | | | ლიხტენშტაინი | 1 | | | ვადუცი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი

COPA AMERICA VENEZUELA 2007


მექსიკელებმა ბრაზილია შეჭამეს

AFP

# კასტილიომ ბრაზილიას ჰაერში მოუგო

B ჯგუფი. I ტური

**ბრაზილია 0:2 მექსიკა**

0:1 კასტილიო (21), 0:2 მორალესი (28)
ბრაზილია: დონი, მაიკონი (დანი ალვეში 79), ალექს როდრიგო, ჟუანი, ჟილბერტო, მინეირო, ჟილბერტო სილვა, ელანო (აფონსო ალვეში 46), დიეგო (ანდერსონი 46), რობინიო, ვაგნერ ლავი
მწვრთნელი: კარლოს დუნგა
მექსიკა: ოჩოა, ი. კასტრო (ხ. კასტრო 75), მაგალონი, მარკესი, ფ. პინტო, ტორადო, კორეა, არსე, რ. მორალესი (ლოზანო 79), ნ. კასტილიო, კაჩო (ო. ბრავო 70)
მწვრთნელი: უგო სანჩესი
გაფრთხილება: ალექს როდრიგო, აფონსო ალვეში, დანი ალვეში, კასტილიო
მსაჯი: სერხიო პეცოტა (არგენტინა)
41 000 მაყურებელი

**ისეთი** გოლი გაუტანა ნერი კასტილიომ ბრაზილიას, რომ ნებისმიერი ბრაზილიელი მოაწერდა ხელს. ბერძნული „ოლიმპიაკოსის" ფორვარდმა ჟუანს ბურთი თავზე გადაავლო და მიწაზე დაუშვებლად მეკარე ალეშანდრო დონისაც გადაატარა — 1:0.

შვიდი წუთის შემდეგ რამონ მორალესმა საჯარიმო დარტყმით ცხრიანში შესვა ბურთი და მექსიკამ ზედიზედ მეორედ მოუგო ბრაზილიას — ორი წლის წინ კონფედერაციის თასზე 1:0 სძლია.

კარლოს დუნგასთვის ეს სადებიუტო ტურნირი იყო და უგო სანჩესის გუნდთან წაგებით დაიწყო.

ნერი კასტილიოს საბერძნეთის და ურუგვაის ნაკრებებში თამაშს სთავაზობდნენ, მაგრამ მან რამდენიმე თვის წინ მექსიკელობა არჩია.

მის გოლამდეც და 2:0-ის შემდეგაც, უგო სანჩესის ფეხბურთელები აშკარად სჯობნიდნენ მეტოქეს. ბრაზილიას განსაკუთრებით ნახევარდაცვაში უჭირდა, სადაც დიეგო ხაიმე კორეამ ამოკეტა, ელანო კი „დაიკარგა". მეორე ტაიმში დუნგამ ორივე შეცვალა — დიეგოს ნაცვლად ანდერსონი შეუშვა, რომელიც ცოტა ხნის წინ „მანჩესტერში" გადავიდა, ელანოს ადგილი კი „პერენვენის" ფორვარდმა აფონსო ალვეშმა დაიკავა.

ყველაზე გამორჩეული მაინც რობინიო იყო. რეალელმა პასებიც არიგა და კარშიც ურტყა, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს. კარგი მომენტი ჰქონდა აფონსო ალვეშს, როცა ანდერსონის ჩაწოდებულ ბურთს ჰაერშივე დაარტყა ფეხი, მაგრამ მეკარე გილერმო ოჩოამ ესეც მოიგერია და ამის გარდა, კიდევ ერთხელ იხსნა კარი. ერთ ეპიზოდში კი მექსიკელმა ფაუსტო პინტომ კარის ხაზიდან თავით გამოაგდო ალექს როდრიგოს დარტყმული ბურთი.

კონტრშეტევებზე ჩასაფრებულმა მექსიკელებმა რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე მომენტი შექმნეს — ნერი კასტილიომ თამაშის მიწურულს ნახევარი მოედანი გადაიარა, მცველიც მოატყუა, მეკარე დონისაც გასცდა და ბურთიც ააცილა კარს.

„პირველ ტაიმში კონცენტრაცია დავკარგეთ და ამიტომ გავუშვით ორი გოლი — თქვა დუნგამ — შესვენების შემდეგ კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ, მაგრამ ბურთი კარში არ შედიოდა."

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვჯობდით და წავაგეთო...

**ეკვადორი 2:3 ჩილე**

1:0 ვალენსია (16), 1:1 სუაზო (21), 2:1 ბენიტესი (23), 2:2 სუაზო (80), 2:3 ვილანუევა (87)
ეკვადორი: მორა, დე ლა კრუზი, ურტადო, ესპინოზა, ბაგუი, ს. კასტილიო, ე. ტენორიო, ე. მენდესი, ლ. ვალენსია, კ. ტენორიო (კაისედო 76), კ. ბენიტესი
მწვრთნელი: ლუის სუარესი
ჩილე: კ. ბრავო, ორმენო, ხ. ვარგასი, პ. კონტრერასი, მელენდესი (ვილანუევა 73), სანჩესი, მ. ფერნანდესი (ლორკა 46), ვალდივია, მ. გონსალესი, უ. სუაზო, ნავია (რიფო 46)
მწვრთნელი: ნელსონ აკოსტა
გაფრთხილება: ვარგასი, დე ლა კრუზი, კ. ტენორიო, მენდესი
მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)
35 000 მაყურებელი

**ეკვადორმა** და ჩილემ ისე ითამაშეს პირველ ტაიმში, როგორც ფეხბურთის მოწყურებულებმა და შვიდ წუთში სამი გოლი გაიტანეს. ედიქსონ მენდესის პასით ლუის ვალენსია მეკარესთან აღმოჩნდა და ბურთი თავზე გადაავლო — 1:0. ცოტა ხნის შემდეგ ჩილელებმა, უმბერტო სუაზომ და რეინალდო ნავიამ კედელი გაითამაშეს, რასაც სუაზოს დარტყმა მოჰყვა საჯარიმოს გარედან და ანგარიში გათანაბრდა. ორი წუთის მერე კი ჩილელთა დაცვის დოყლაპიობით კრისტიან ბენიტესმა ისარგებლა და ეკვადორი ისევ დაწინაურდა.

პირველ ტაიმში გუნდებს კიდევ ჰქონდათ თითო მომენტი: ვალენსიას დარტყმული ძელს მოხვდა, მატიას ფერნანდესს კი მეკარე მორამ აჯობა.

მეორე ნახევარში ჩილელთა კარის დარაჯმა კლაუდიო ბრავომ ვალენსიასა და ბენიტესის ზედიზედ დარტყმულები მოიგერია. ეკვადორის კართან კი უმბერტო სუაზომ ივან ურტადოსგან „ნაჩუქარი" ბურთი ახლოდან ვერ შეაგდო. სამაგიეროდ, მეოთხმოცე წუთზე ჩაუსაფრდა ბურთს ძელთან და მეორედ გაათანაბრა.

ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა კარლოს ვილანუევამ 25 მეტრიდან საჯარიმო შეასრულა და კრისტიან მორას მესამე გაუტანა.

„ჩვენ კარგი გუნდი გვყავს, რომელიც ხანდახან საუცხოოდ თამაშობს" — თქვა ჩილელთა მწვრთნელმა ნელსონ აკოსტამ, ხოლო მისმა ეკვადორელმა კოლეგამ განაცხადა: „ეს ერთ-ერთი იმ მატჩთაგანი იყო, როცა მეტოქე ვერ გჯობნის და თვითონ აგებ თამაშს".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩილე | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ბრაზილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

II ტური, 1 ივლისი

**ბრაზილია — ჩილე**

**მექსიკა — ეკვადორი**


ბენიტესის გოლმა ჩილელები ვერ გატეხა

AFP

# ჩვენი მთა მთაა და თქვენი ზღვა ზღვა არ არის?!


AFP

**დაყავი** და იბატონე — ახლა ფიფა ცაში გამოკიდულ სტადიონებზე საერთაშორისო მატჩების ჩატარების აკრძალვისთვის ამ პრინციპით მოქმედებს. მსოფლიოს ფეხბურთის ფედერაციამ სიმაღლეზე ლიმიტი 2 500-დან 3 000 მეტრამდე გაზარდა და ამით უკმაყოფილო მარტო ბოლივია და პერუ დატოვა. ეკვადორი და კოლუმბია კი ფიფას გადაწყვეტილებით კმაყოფილნი დარჩნენ და ბლატერის უწყებასთან ბრძოლაზე ხელი აიღეს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ფიფამ ზღვის დონიდან 2 500 მეტრზე მაღლა მდებარე სტადიონებზე მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი მატჩების ჩატარების აკრძალვა მოინდომა. მაშინ ამ გადაწყვეტილებამ მთელი რიგი სამხრეთამერიკული ქვეყნები გააბრაზა. ბოლივიამ, პერუმ, ვენესუელამ, ეკვადორმა და კოლუმბიამ „ვეტო სიმაღლეზე" შეურაცხმყოფელ დისკრიმინაციად მიიღეს და იოზეფ ბლატერის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

ფიფა აცხადებდა და დღესაც ამბობს, რომ ზღვის დონიდან ზედმეტად მაღლა მდებარე არენებზე სტუმარი გუნდების მოთამაშეები ნაადრევად იღლებიან და შეიძლება, მატჩი რომელიმე მათგანისთვის ფატალური შედეგითაც დასრულდეს...

ამავდროულად, ხსენებული ქვეყნები, რომელთა ნაკრებებიც დიდ სიმაღლეზე თამაშს შეჩვეულნი არიან, საშინაო მატჩების უმეტესობას დამაჯერებლად იგებდნენ, თუმც სამხრეთამერიკულმა ერთიანმა ფრონტმა ფიფას დროებითი უკანდახევა მაინც „აკისრებინა". პრეზიდენტმა ბლატერმა და მისმა მოხელეებმა ვეტოზე საუბარს თავი დაანებეს და მთიელებმაც ერთი ამბავი ატეხეს, აქაოდა, ყოვლისშემძლე ფედერაცია დავამარცხეთო.

ნურას უკაცრავად. ფიფამ ლიმიტის 3 000 მეტრამდე აწევით სამხრეთამერიკულ კოალიციას ბოლო მოუღო და ბოლივია და პერუ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. ლა პასში (ბოლივია) სტადიონი ზღვის დონიდან 3 500 მეტრზეა, კუსკოში (პერუ) კი 3 600 მეტრზე.

„ჩვენ აშკარად დაგვჩაგრეთ. როცა სიმაღლეზე თამაშს აუქმებენ, იმას რატომ არ ითვალისწინებენ, მალამთიანი ქვეყნების ნაკრებები ზღვისპირელებთან სტუმრად თამაშისას საშინლად რომ წვალობენ? მაშინ ნესტში და სიცხეში ბურთის გორებაც აკრძალონ!" — განაცხადა ბოლივიის განრისხებულმა პრეზიდენტმა ევო მორალესმა.

მორალესი ახლა ციურიხშია იოზეფ ბლატერთან და ვეტოს შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს.

„დაჩაგრულ" ბოლივიას და პერუს კი დიეგო მარადონა გამოესარჩლა: „სულით და გულით ბოლივიისა და პერუს მხარეს ვარ. ფეხბურთი ყველამ იქ უნდა ითამაშოს, სადაც დაიბადა და გაიზარდა, უცნაურ ვეტოებს კი ამ სპორტისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს".

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფეიენოორდი მაკაით შეუტევს
## იქვეა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტიც





AFP

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ფორვარდი როი მაკაი როტერდამის „ფეიენოორდში“ გადავიდა, სადაც ათი წლის წინ თამაშობდა. ამის შესახებ „ბაიერნმა“ გუშინ ოფიციალურად განაცხადა. ჰოლანდიელმა მეგოლემ „ფეიენოორდთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მიუნხენურმა კლუბმა იგი 2003 წელს „დეპორტივოდან“ 19 მილიონ ევროდ შეიძინა, რაც მაშინ „ბაიერნისთვის“ სარეკორდო თანხა იყო. მაკაი „ფეიენოორდამდე“ „ვიტესში“ იყო, მერე კი „ტენერიფეში“ წავიდა, საიდანაც „დეპორტივოში“ აღმოჩნდა.

„ბევრი კარგი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება ვარჩიე — თქვა ფორვარდმა — „ფეიენოორდი“ ჩემთვის ახალი გამოწვევაა და გუნდს ძველი დიდების დაბრუნებაში დავეხმარები“.

მან „ბაიერნში“ ორჯერ ბუნდესლიგა და ორჯერ გერმანიის თასი მოიგო. მიუნხენში გადასვლამდე, 2002-2003 წლების სეზონში კი 29 გოლი გაიტანა. „ბაიერნის“ მაისურით 178 მატჩი ითამაშა და 102 გოლი შეაგდო. მათ შორის, 129 ბუნდესლიგურ შეხვედრაში 78 გოლი მიითვალა და კლუბის ისტორიაში გერდ მიულერის შემდეგ მეორე გახდა ამ შედეგით.

„ფეიენოორდში“ მას ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი დახვდება, ვინც „ბარსელონადან“ დაბრუნდა ყოფილ კლუბში, როტერდამულ გუნდს კი ამჟამად ბერტ ვარ მარვიიკი წვრთნის — ბაიერნელი საყრდენი ნახევარმცველის, მარკ ვან ბომელის სიმამრი.

ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი: „რამდენიმე დღის წინ ფრანკ რაიკარდსა და ჩიკი ბეგირისტაინს ვესაუბრე და ვუთხარი, რომ ჰოლანდიაში დაბრუნება მინდოდა. ამ გადაწყვეტილებამდე იოლად არ მივსულვარ, თუმცა ვიცი, რომ სამშობლოში დაბრუნება ჩემთვის უფრო მომგებიანია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კუპერის ერთწლიანი ტესტი
## ბეტისს თავი დაადგეს



**ექტორ რაულ კუპერი** „ბეტისის“ მწვრთნელი გახდა. ანდალუზიური კლუბის პატრონი მანუელ რუის დე ლოპერა ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს და მისი პირველი ნაბიჯი სევილიაში არგენტინელი სპეციალისტის ჩაყვანა იყო.

კუპერი „ბეტისის“ დამრიგებლად ერთ სეზონს იმუშავებს და თუ გაისად გუნდის ევროტურნირზე გაყვანას მოახერხებს, კიდევ ერთი წლით დატოვებენ.

ამბობენ, რომ არგენტინელმა „ბეტისის“ პრეზიდენტს უკვე სთხოვა ოთხი ახალი ტრანსფერი. ესპანურ მედიაში სავარაუდო ახალწვეულთა გვარებს ჯერ არ ასახელებენ, ძველებიდან კი გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს, თუმც ეს მხოლოდ რუის დე ლოპერას თანხმობით მოხდება.

ადრე „მწვანეების“ მწვრთნელად მარსელინო გარსია ტორალს ასახელებდნენ, მაგრამ მან ბოლო მომენტში უარი განაცხადა. ლოპერამაც უმალ კუპერის ვარიანტი გამოძებნა, აგენტებს ესაუბრა და საქმეც მოგვარდა.

კუპერი ესპანური ფეხბურთის შესანიშნავი მცოდნეა, დაცვითი სტილის და, რაც მთავარია, რკინისებური დისციპლინის მოყვარულია. წლეულს, „ბეტისის“ ერთ-ერთი მთავარი პრობლემაც ხომ ფეხბურთელთა თავგასულობა იყო — ბობოქარი „მწვანეები“ ვერც ხავიერ ირურეტამ მოთოკა და ვერც ფრანგმა ლუის ფერნანდესმა.

უახლოეს ორ-სამ დღეში იმ ფეხბურთელთა ვინაობაც გახდება ცნობილი, რომელთაც „ბეტისიდან“ დაითხოვენ. ამათგან ერთი სავარაუდოდ მარკოს ასუნსაო იქნება, ვისაც „ბეშიქთაში“ ეპატიჟება — თურქები ბრაზილიელში მილიონნახევარ ევროს იხდიან.

**ლადო ხომერიკი**

# ატლეტიკო გაყვითლდა: ფორლანი და რიკელმე!

**მადრიდის** „ატლეტიკომ“ „ვილიარეალთან“ შეთანხმებას მიაღწია და „ყვითლების“ ფეხბურთელები, ურუგვაელი ფორვარდი დიეგო ფორლანი და არგენტინელი გამთამაშებელი ხუან რომან რიკელმე სამომავლსეზონოდ „ათლეტთა“ თეთრ-ალისფერ მაისურას მოირგებენ.

ფორლანის საქმე უკვე გადაწყვეტილია. დიეგოთი „ვალენსიაც“ იყო დაინტერესებული, თუმცა „ატლეტიკომ“ ფეხბურთელს სეზონში სამი მილიონი ევრო აღუთქვა და ურუგვაელმაც დედაქალაქში გადასვლა არჩია.

აი, რიკელმეს შემთხვევაში კი უფრო დელიკატურადაა საქმე — მას ევროპაში დაბრუნება აღარ ხიბლავს, „ვილიარეალიდან“ მშობლიურ „ბოკა ხუნიორსში“ იჯარით მივლინებული თავს მშვენივრად გრძნობდა და ახლა ფიქრობს, ღირს თუ არა ისევ ესპანური პრიმერასკენ გახედვა. „ათლეტებიც“ არგენტინელის გადაწყვეტილებას მოთმინებით ელიან, მაგრამ ესპანური გაზეთები წერენ, რიკელმე საბოლოოდ მაინც მადრიდულ კლუბს აირჩევსო.

„ატლეტიკომ“ „ვილიარეალს“ ორივე ფეხბურთელის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო აღუთქვა, თუმც გამორიცხული არ არის, სატრანსფერო ოპერაციაში რომელიმე ფეხბურთელიც ჩართონ. „ვილიას“ მცველ ლუის ამარანტო პერეას შეძენა სურს და თუ კოლუმბიელი „ელ მადრიგალზე“ გადავიდა, ფორლანისა და რიკელმეს ტრანსფერიც გაიაფდება.

**ლადო ხომერიკი**

## გაძევებული ლივორნომ შეიკედლა

**ფრანჩესკო ტავანოსა** და ფაუსტო როსინის შეძენის შემდეგ, „ლივორნომ“ ფრანგი ვიკაშ დორასო იყიდა. ეს ამბავი კლუბის პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ „ლა რეპუბლიკას“ განუცხადა.

„ლიონისა“ და „მილანის“ ყოფილი ნახევარმცველი შარშან პსჟ-ში იყო, მსოფლიოს ჩემპიონატზეც წაიყვანეს, მაგრამ არ ათამაშეს, სექტემბერში კი პარიზული კლუბიდან გააძევეს, რადგან მწვრთნელს მატყუარა უწოდა.

„მილანში“ 2004-05-ის სეზონი გაატარა და 12-ჯერ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში.

## იგუაინის ძმა იგუაინი

**„რეჯინადან“** როლანდო ბიანკი „ნაპოლიში“, ნიკოლა ამორუზო კი „პალერმოში“ გადადის, ამიტომ რეჯოკალაბრიელებს ახალი თავდამსხმელი სჭირდებათ. მათ მზვერავებს „რივერ პლეიტის“ მეგოლე, 23 წლის ფედერიკო იგუაინი მოსწონებიათ და არგენტინელის გადაბირებას აპირებენ. ფედერიკო იმ გონსალო იგუაინის ძმაა, რომელიც მადრიდის „რეალში“ თამაშობს.

„რეჯინამ“ უკვე იყიდა ურუგვაელი პაბლო ალვარესი „ნასიონალიდან“, ნახევარმცველი ემანუელე კაშონე „რიმინიდან“ და ლორენცო კოლაკიონი „პისტოიეზედან“.

## დი ჯენარო ბოლონიაში

**„მილანის“** მეორე გუნდის ნიჭიერი ფორვარდი დავიდე დი ჯენარო ერთი სეზონით სერია B-ს „ბოლონიას“ ათხოვეს. დი ჯენარომ გასულ სეზონში 14 გოლი გაიტანა. „ბრეშასთან“ და „კალიარისთან“ კი ჰეთ თრიქი შეასრულა.

„მილანის“ მთავარ გუნდში მისი დებიუტი 19 მაისს, „უდინეზესთან“ მატჩში შედგა.

## ლამურა ალექსისი

**„ხეტაფეს“** მცველი ალექსისი „ვალენსიაში“ გადავიდა. 21 წლის ფეხბურთელმა „ლამურებთან“ ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი გადასვლა ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ იყო გადაწყვეტილი და ქაღალდებს ხელი სეზონის დასრულების შემდეგ მოეწერა.

შევახსენებთ, რომ „ვალენსიას“ არგენტინელი მცველი რობერტო აიალა ცოტა ხნის წინ „ვილიარეალის“ ფეხბურთელი გახდა.

## კასტედოს ოთხწლიანი

**33 წლის** დავიდ კასტედო „ლევანტემ“ „სევილიადან“ იყიდა. კასტედომ შვიდი სეზონი გაატარა სევილიურ კლუბში და ორჯერ უეფას თასი მოიგო. მარცხენა მცველმა „ლევანტესთან“ ოთხწლიანი კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მან კარიერა „მალიორკაში“ დაიწყო, შემდეგ კი „ერკულესი“ და „ესტრემადურა“ მოირა.

## ოლიმპიაკოსის ლუჩანო

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი ლუჩანო გალეტი მომავალი სეზონიდან პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ მაისურას მოირგებს. ამის შესახებ ესპანურმა კლუბმა განაცხადა.

გალეტი „ატლეტიკოში“ „სარაგოსადან“ 2005 წელს გადაბარგდა და ორი სეზონი გაატარა.

„ოლიმპიაკოსმა“ მის სანაცვლოდ 2 მილიონ 300 ათასი ევრო გადაიხადა.

## ბისლი ჩაფრებში

**აშშ-ის** ნაკრების ნახევარმცველი დამარკუს ბისლი „პსვ ეინდჰოვენიდან „გლაზგო რეინჯერსში“ გადავიდა.

ამერიკელი გუშინწინ ჩავიდა გლაზგოში და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

25 წლის ფეხბურთელი გასულ სეზონში „მანჩესტერ სიტიში“ იყო განათხოვრებული, მაგრამ ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

„რეინჯერსმა“ ბისლიმდე ჟან-კლოდ დარშევილი, ალან გოუ, კირკ ბროდფუტი და გრემ სმიტი შეიძინა.

## კივუს ნაცვლად ბარძალი

**„ინტერს“** „პალერმოდან“ ანდრეა ბარძალის შეძენა უნდა, რადგან „რომადან“ კრისტიან კივუს გადაბირება მაინც ვერ შეძლო — ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა და რუმინელი მცველი ალბათ „ბარსელონაში“ გადავა.

იტალიური მედიის ცნობით, „ინტერმა“ „პალერმოსთან“ მოლაპარაკება უკვე დაიწყო.

## ოფიციალური მალუდა

**„ჩელსიმ“** ოფიციალურად შესთავაზა „ლიონს“ 12 მილიონი გირვანქა ფლორენ მალუდას სანაცვლოდ. ლონდონურ კლუბს დიდი ხანია, საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველის შეძენა სურს და ამ საქმეს ოფიციალური სახე მისცა.

ჟოზე მაურინიუს ძალიან მოსწონს 27 წლის მალუდას თამაში, ფეხბურთელი კი სეზონის ბოლოსვე აცხადებდა, რომ კლუბის გამოცვლა უნდოდა.

„ჩელსი“ „ლიონის“ პასუხს ელის.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფაბიო კაპელო ჰაერში მოხსნეს!



რამონ კალდერონი და პრედრაგ მიატოვიჩი



**ფაბიო კაპელო** მოხსნეს!

ბოლო პერიოდში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ იტალიელი მადრიდის „რეალის" თავკაცად აღარ უნდა დარჩენილიყო და ასეც მოხდა. კასტილიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა გუშინ მედიასთან შეხვედრისას ოფიციალურად განაცხადა, რომ ფაბიო კაპელო მადრიდის „რეალთან" აღარ ითანამშრომლებს.

„იგი არ არის შესაფერისი პერსონა ჩვენი პროექტის განსახორციელებლად" — თქვა სპორტულმა დირექტორმა.

„ბერნაბეუზე" პრესკონფერენცია 12 საათზე გაიმართა და ჟურნალისტების წინაშე „რეალის" პრესმდივანი მიგელ ანხელ აროიო და პრედრაგ მიატოვიჩი წარდგნენ. სწორედ სენიორ აროიომ განაცხადა, კაპელოს გუნდიდან წასვლის იდეა კლუბის დირექტორატში ერთხმად მოიწონეს, არც კენჭისყრა გამართულა და არც რაიმე კამათი ყოფილა, დირექტორატის წევრებს შეთანხმება არ გასჭირვებიათო.

კითხვაზე, შეატყობინეს თუ არა კაპელოს „რეალიდან" მოხსნის ამბავი, მიატოვიჩმა უპასუხა: „ფაბიო კაპელო ამჟამად თვითმფრინავით ტიბეტისკენ მიემართება დასასვენებლად და მას ტექნიკური პრობლემების გამო ვერ ვუკავშირდებით, თუმც კაპელოს ვაჟს უკვე ველაპარაკეთ და „რეალის" გადაწყვეტილებაც შევატყობინეთ".

დონ ფაბიოს „სამეფო გუნდში" კონტრაქტით კიდევ ორი სეზონით უწევდა მუშაობა და ახლა „რეალმა" იტალიელს კომპენსაციის სახით 18 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

და ვინ იქნება „სამეფო თეთრების" ახალი თავკაცი? ალბათ, ბერნდ შუსტერი, მაგრამ მიატოვიჩმა პრესკონფერენციაზე მოვლენებს წინ არ გაუსწრო და ფრთხილად თქვა, შუსტერი ჩვენთვის ყველაზე მისაღები კანდიდატია, მაგრამ გერმანელს თავის „ხეტაფესთან" ჯერ კონტრაქტი არ გაუწყვეტიაო.

„ბერნაბეუდან" საბოლოოდ წავიდა სპორტული დირექტორის თანაშემწე ფრანკო ბალდინიც. მის ადგილს კი „რასინგის" ყოფილი დამრიგებელი, მიგელ ანხელ პორტუგალი დაიკავებს...

**ლადო ხომერიკი**



# იუვემ პეპე გააპირველა

**ტურინის** „იუვენტუსი" კვლავ დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს და სანამ სარაგოსელი გაბრიელ მილიტოს ამბავს გაარკვევდეს, სხვა ფეხბურთელებს მიადგა. „ბებერი ქალბატონის" სიაში პირველი „პორტუს" ბრაზილიელი ვარსკვლავი კეპლერ ლავერან ლიგა ფერეირა, იგივე პეპეა.

24 წლის ნიჭიერი მცველი უკვე სამი წელია, „დრაკონებში" ირიცხება. „პორტუ" ხშირად თამაშობს სამი მცველით და პეპე ერთადერთი ცენტრალური მცველია ხოლმე. მან ახლახან პორტუგალიის მოქალაქეობაც მიიღო.

ამბობენ, „პორტუ" მას 20 მილიონ ევროდ აფასებსო. სავარაუდოდ, „იუვენტუსი" ეცდება, საქმეში ფაბრიციო მიკოლი ჩართოს, რომელიც დაახლოებით 8 მილიონად ფასდება.

„იუვე" „ბენფიკას" ბრაზილიელ ლუიზაოსაც ეპატიჟება, თუმცა ეს ტრანსფერი უკვე თითქმის გამოირიცხა, რადგან ფეხბურთელმა თქვა, ჩემპიონთა ლიგაში თამაში მსურს და ამიტომ „ბიანკონერის" წინადადებით დაინტერესებული არ ვარო.

მესამე კანდიდატი კი „შტუტგარტის" კაპიტანი ფერნანდუ მეირაა. 29 წლის პორტუგალიელი ფეხბურთელი ბოლო წლებში მშვენივრად ირჯება.

ამასობაში, „იუვენტუსის" ახალგაზრდა ნახევარმცველი მატეო პარო სადაცაა, „ჯენოაში" გადავა. ის, წესით, „ემპოლიში" უნდა გაენათხოვრებინათ, მაგრამ ეს ვარიანტი იუარა.

„ჯენოას" მწვრთნელი ჯანპიერო გასპერინი „იუვენტუსის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად მუშაობდა და პაროს ათამაშება მნიშვნელოვნად მასაც უკავშირდება.

**გიორგი ძაძაბაძე**

## რუს არა უთხრეს

**58 წლის** გი რუს „ლანსთან" კონტრაქტი საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ გააბათილა — ასაკზე ლიმიტია დაწესებული და მხცოვან კაცს მუშაობა ეკრძალება.

65 წელს გადაცილებულებს საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში მუშაობის უფლება არ აქვთ, არადა, კონტრაქტი სამი კვირის წინ გააფორმეს პაპა რუმ და „ლანსმა." მაშინ პროფლიგიდან ხმა არავის ამოუღია.

„ლანსის" პრეზიდენტმა ჟერვის მარტელმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას ნაციონალურ ოლიმპიურ კომიტეტში გაასაჩივრებს.

შეგახსენებთ: გი რუმ 43 წელი შეალია „ოსერს" და ორი წლის წინ დაანება თავი მწვრთნელობას.

## ბაპტისტას მეშახტეობა ელის

**ესპანური** „ასის" ცნობით, მადრიდის „რეალის" ჟულიო ბაპტისტას დონეცკის „შახტარი" ეპატიჟება.

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა გასული სეზონი ლონდონის „არსენალში" გაატარა, სადაც განათხოვრებული იყო.

„შახტარი" ბაპტისტას წელიწადში 4 მილიონ ევროს სთავაზობს, მაგრამ ფეხბურთელის საბოლოო ფასზე მადრიდის „რეალს" ვერ უთანხმდება.

## გამაგებინეთ, აქ ვარ, თუ იქ?

**„რეჯინამ"** გასულ კვირაში გამოაცხადა, რომ მწვრთნელად მასიმო პიკადენტი დანიშნა, მაგრამ „ვერონა", სადაც იგი ადრე მუშაობდა, სპეციალისტს აღარ უშვებს — მას კონტრაქტი 2008 წლამდე აქვსო.

„რაკი „ვერონა" სერია C-ში გავარდა, კონტრაქტი ავტომატურად გაბათილდა, ამიტომ პიკადენტი თავისუფალია" — თქვა რეჯოკალაბრიელთა პრეზიდენდმა ლილო ფოტიმ წინა შაბათს, მაგრამ ვერონულმა კლუბმა გუშინწინ ოფიციალურად განაცხადა: „პირველი გუნდის მწვრთნელი მომავალ სეზონში, კონტრაქტის თანახმად, მასიმო პიკადენტი იქნება"!

ორ კლუბს შორის გაჩხერილ მწვრთნელს საკუთარი თავის გამოსყიდვა მოუწევს, თუ სერია A-ს „რეჯინაში" მუშაობა სურს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ივან კამპო



მცველი

დაიბადა 1974 წლის 21 თებერვალს სან სებასტიანში

სიმაღლე: 1,85 მეტრი, წონა: 81 კგ

კარიერა: 1993-96 წლები — „ალავესი"
(45 მატჩი, 2 გოლი),
1996-97 წლები — „ვალენსია" (7 მატჩი, 1 გოლი),
1997-98 წლები — „მალიორკა" (33 მატჩი, 1 გოლი),
1998-2002 — „რეალი" (60 მატჩი, 1 გოლი),
2002 წლიდან — „ბოლტონი" (145 მატჩი, 12 გოლი)
1998 წლიდან თამაშობს ესპანეთის ნაკრებში
(4 მატჩი, 0 გოლი)



## FERRARI F360

გამოშვების თარიღი: 2004 წელი
სიგრძე: 4,477 მეტრი
სიგანე: 1,922 მეტრი
სიმაღლე: 1,235 მეტრი
წონა: 1 600 კგ
ცილინდრი: 8
ძრავის კუბატურა: 3,6
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 300 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 3,2 წამში
ფასი: 150 000 დოლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გეხსომებათ, რამხელა აურზაურის ფონზე შედგა დავიდ ოსკარ სუაზოს ტრანსფერი „კალიარიდან“ „ინტერში“. ჰონდურასელი თავდამსხმელი „ნეროაძურიშია“ და მას უკვე მისცეს 29-ნომრიანი მაისურა. 27 წლის ფეხბურთელმა პირველი პრესკონფერენციაც მოაწყო ინტერელის რანგში...




# ბოდიში და მადლობა

— მინდა, ბოდიში მოვუხადო ყველას, ვინც ბოლო პერიოდში ტელეფონით ჩემთან დაკავშირებას და ჩემს მომავალზე საუბარს ცდილობდა. ეს უცნაური პერიოდი იყო და ბევრ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემდი. სამაგიეროდ, ახლა ყველაფერი მოგვარდა და თქვენს შეკითხვებს სიამოვნებით ვუპასუხებ. მინდა, მადლობა გადავუხადო მთელ სარდინიასა და უშუალოდ „კალიარის“, სადაც რვა ფანტასტიკური წელი გავატარე. მადლობა პრეზიდენტ მასიმო ჩელინოსაც, ვინც მუდამ ბრწყინვალედ მექცეოდა. მადლობა „ინტერს“, რომელსაც სჯეროდა ჩემი შესაძლებლობების. ვეცდები, კლუბს თავდაუზოგავი შრომითა და კარგი თამაშით გადავუხადო სამაგიერო.

— თქვენი ამ ემოციური განცხადებისგან ჩანს, რომ ამ ტრანფერით ძალიან გახარებული ხართ...

— ეს სრულიად ახალი და ფანტასტიკური თავგადასავლის დასაწყისია. ადვილი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ მჯერა, ყველას დახმარებით, კარგად თამაშს შევძლებ.

— „ინტერი“ დიდი გუნდია და ძლიერი ფორვარდები ჰყავს. არ ფიქრობთ, რომ გაგიჭირდებათ თავის გამოჩენა?

— როცა ეგრეთ წოდებულ პატარა გუნდში თამაშობ, მერე კი „ინტერის“ დარ გრანდში გადადიხარ, ესე იგი, კარგი რაღაცეები გააკეთე და ყურადღება მიიქციე. მე ვიცი, რაც შემიძლია, როგორი ხასიათი მაქვს და „ინტერის“ ჩემდამი გამოცხადებული ნდობაც ადასტურებს, რომ მაღალ დონეზე თამაში შემიძლია.

— გამოკვეთილ ფორვარდად გირჩევნიათ თამაში თუ მეორე თავდამსხმელად?

— მე სწრაფი ფორვარდი ვარ. მაღალ დონეზე თამაშისას ბევრ რამესთან შეგუება გიწევს. ასე რომ, ყველაფრისთვის მზად ვარ. რომელ პოზიციაზე ვიქნები უფრო სასარგებლო, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს.

— „ინტერი“ იმიტომ ხომ არ არჩიეთ, რომ წინა ზაფხულს „მილანში“ გადასვლის ილუზია გაგიჩნდათ, მაგრამ მერე „როსონერიმ“ თქვენი შეძენა აღარ ისურვა?

— მას მერე წელიწადი გავიდა და ამაზე საკმაო ხანია, აღარ ვფიქრობ. „კალიარიში“ ბრწყინვალე სეზონი მქონდა და ვიცოდი, „ინტერმა“ დიდი ხნით ადრე დამადგა თვალი. ახლა, ღვთის წყალობით, აქ ვარ და ახალ თავგადასავალს ვიწყებ.

— უკვე მრავალი წელია, 9-ნომრიანი მაისურით თამაშობთ, „ინტერში“ კი 29 ნომერი მოგცეს...

— როდესაც ახალ კლუბში მიდიხარ, ისეთი ნომერი უნდა აირჩიო, რომელიც თავისუფალია. „კალიარიში“ რომ გადავედი, 19 წლის ვიყავი და როცა მკითხეს, რა ნომერი გინდაო, 19-მეთქი, ვუთხარი. ხოლო, როცა პირველი მატჩი ჩავატარე, ვნახე, რომ 29-ნომრიანი მაისურა მეცვა. ეს არის ის ნომერი, რომლითაც იტალიაში თამაში დავიწყე და იმ წლებშიც საკმაოდ კარგად ვირჯებოდი. იმედი მაქვს, ამ ახალ თავგადასავალსაც კარგად დავიწყებ 29 ნომრით.

— როგორი იყო თქვენთვის ბოლო კვირა, როცა „ინტერში“ გადადიოდით თუ „მილანში“, არ იცოდით?

— სიმართლე გითხრათ, არანორმალური ვითარება იყო. „ინტერში“ სამედიცინო შემოწმება უკვე გავლილი მქონდა, „კალიარიც“ თანახმა იყო ტრანსფერზე და თითქოს ყველაფერი გადაწყდა, როცა ვითარება აირია. თუმცა მერე ჩემს აგენტსა და „ნეროაძურის“ წარმომადგენლებს ველაპარაკე, რომლებმაც დამამშვიდეს — ყველაფერი მალე მოგვარდებაო. როგორც იქნა, ყველაფერი დასრულდა და ბედნიერი ვარ, რომ „ინტერის“ რიგებში ჩავირიცხე.

# პალიუკა ინტერს ითხოვს

**ვეტერან** იტალიელ მეკარეს, ჯანლუკა პალიუკას კარიერის დასრულება თავის ყოფილ გუნდ „ინტერში“ სურს. ბოლონიაში დაბადებული გოლკიპერი წინა სეზონში „ასკოლიში“ ირიცხებოდა და სერია A-ს ისტორიაში ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელ მეკარედაც იქცა.

მოგეხსენებათ, „ასკოლი“ სერია B-ში გავარდა და პალიუკა ახლა ელიტის სხვა გუნდს ეძებს. კარიერის დასასრულებლად კი საუკეთესო ვარიანტად „ინტერი“ მიაჩნია, სადაც 1994-1999 წლებში თამაშობდა.

„40 წლის ვარ და „ინტერს“ ჩემი კარიერის დიდი, მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება. იქ ბრწყინვალე პერიოდი გავატარე და სიამოვნებით დავბრუნდებოდი. ვიცი, „ნეროაძურიში“ ჩინებული შემადგენლობაა. პრეზიდენტ მასიმო მორატის დიდ პატივს ვცემ. ასევე ფანებს, რომლებიც ყოველთვის თბილად მხვდებოდნენ“ — თქვა „სკუადრა აძურას“ ყოფილმა მეკარემ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ინტერის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი და პალიუკა მეგობრები არიან. მათ „სამპდორიაში“ სკუდეტო აქვთ მოგებული.

„ძალიან მინდა, ეს მოხდეს, მაგრამ „ინტერის“ მხრიდან ჯერ არაფერი ისმის. არადა, ერთი სული მაქვს, „ნეროაძურიში“ დავბრუნდე და კარიერის ბოლო წლები იქ გავატარო. თან ჩემს მეგობარ რობერტო მანჩინისთან ერთად რომელიმე ტიტული მოვიპოვო“ — დასძინა პალიუკამ.



**ქოქი ქანდელაკი**

## მარსინიო ექვს მილიონად

**„კრუზეიროს“** ნახევარმცველი მარსინიო „სენტ ეტიენში“ გადადის. მას კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ ბრაზილიური კლუბის ცნობით, ამ კვირის ბოლომდე ყველაფერი მოგვარდება.

26 წლის გამთამაშებელის სანაცვლოდ, „სენტ ეტიენი“ 6 მილიონ დოლარს იხდის.

## მსოფლიოს ფინალი იოჰანესბურგში

**მსოფლიოს** მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა 25 ნოემბერს სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში გაიმართება.

ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა ისიც დაადგინა, რომ ჩემპიონატის ფინალი იოჰანესბურგის „სოკერ სიტის“ სტადიონზე შედგება, რომელიც 80 ათას მაყურებელს იტევს და 94 ათასამდე გაზრდიან.

## უსიტყვო მიხაილოვი

**სოფიის** „ლევსკიმ“ დაადასტურა, რომ კლუბისა და ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე ნიკოლაი მიხაილოვი „ლივერპულში“ გადავიდა. მას გუშინ შეუსრულდა 19 წელი და რაფაელ ბენიტესის გუნდთან სამწლიანი კონტრქტი გააფორმა.

„სიტყვებს ვერ ვპოულობ — თქვა მიხაილოვმა სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ — ესაა უდიდესი ამბავი ჩემს ცხოვრებაში“.

## ფულემის ჩრდილოური ზაფხული

**„ფულემმა“** ამ ზაფხულს პირველი ფეხბურთელი შეიძინა — „ასტონ ვილას“ ჩრდილოირლანდიელი მცველი აარონ ჰიუზი. ნაკრების კაპიტანმა ლონდონურ კლუბთან სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

იგი „ასტონ ვილაში“ „ნიუკასლიდან“ 2005 წელს გადავიდა და ორ სეზონში 50-მდე მატჩი ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ „ფულემს“ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ყოფილი თავკაცი ლოური სანჩესი წვრთნის. მან მაისში კრის კოულმენი შეცვალა.

## კარლო პრემიერლიგაში

**„პრესტონის“** მეკარე კარლო ნეში „უიგანში“ გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პრემიერლიგურმა კლუბმა 33 წლის გოლკიპერში 300 ათასი გირვანქა გადაიხადა.

ნეშს გუნდიდან წასვლა უნდოდა, რადგან მწვრთნელთან ურთიერთობა წაუხდა მას შემდეგ, რაც იანვარში „ფულემში“ არ გაუშვეს.

## ტო-ტო

**„ტუტოსპორტის“** ცნობით, „ინტერიდან“ ფრანჩესკო ტოლდოს ყიდვა „ტორინოს“ უნდა, რადგან „მილანიდან“ ნათხოვარი კრისტიან აბიატი მადრიდის „ატლეტიკოში“ გაუშვა ერთი სეზონით.

ტურინულ კლუბს ტოლდოს ვარიანტი თუ არ გამოუვა, „ლაციოდან“ მატეო სერენის გადაბირებას ეცდება.

## გრეშკომ წრე შეკრა

**სლოვაკეთის** ნაკრების ნახევარმცველი ვრატისლავ გრეშკო „ნიურნბერგიდან“ „ლევერკუზენში“ დაბრუნდა, სადაც 1999-2001 წლებში უთამაშია. ფეხბურთელი მომავალი კვირის დასაწყისში ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

29 წლის გრეშკომ „ნიურნბერგამდე“ „ინტერი“, „პარმა“ და „ბლექბერნი“ მოიარა.

## ფასდაკლება ოლივეირაზე

**რიკარდო ოლივეირას** ალბათ მოუწევს „მილანიდან“ აბარგება, რადგან კლუბი მასზე გაცილებით მაღალი კლასის ფორვარდის ყიდვას აპირებს. მილანელები „ბარსელონადან“ სამუელ ეტოოს ან „ლიონიდან“ ფრედის გადაბირებას ცდილობენ.

27 წლის ბრაზილიელი ოლივეირა შარშან „ბეტისიდან“ გადავიდა „შავ-წითელ“ კლუბში, მაგრამ 22 მატჩში 3 გოლზე მეტი ვერ გაიტანა. „მილანი“ მასში 7 მილიონ გირვანქას ითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ „ბეტისს“ შარშან 15 მილიონი გადაუხადა.

## ჟუნინიოს მსგავსი

**„ლაციოს“** „ნიცადან“ ბრაზილიელი ედერსონის შეძენა უნდა. 21 წლის ნახევარმცველს კარგი სეზონი ჰქონდა და ერთ-ერთი გამორჩეული იყო საფრანგეთის ჩემპიონატში. მას განსაკუთრებით ეხერხება საჯარიმოებიდან გატანა, რის გამოც „ლიონის“ ჟუნინიოს ადარებენ.

„ჩვენ უკვე ვესაუბრეთ „ლაციოს“ წარმომადგენლებს — თქვა ფეხბურთელის აგენტმა პატრის პიგინიმ.

ედერსონს „ნიცასთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს და მისი გაწყვეტა 8 მილიონი გირვანქა ღირს.

## მეექვსე მგელი

**„ვოლფსბურგის“** მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა მეექვსე ახალწვეული მიიღო გუნდში — 21 წლის ბოსნიელი ფორვარდი ედინ ძეკო „ტეპლიცედან“ იყიდეს და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ძეკომდე „მგლებმა“ აშკან დეჯაგა, ვლად მუნტიანუ, სერგიუ რადუ, დანიელ ბაიერი და საშა რაიზერი გადაიბირეს.

მაგათის გუნდმა მომავალი სეზონისთვის მზადება გუშინ დაიწყო.

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 18:30 | 1 | ლოკომოტივი მ-კრილია | 1.75 | 2.90 | 4.55 | 1.09 | 1.26 | 1.77 |
| 16:00 | 2 | სატურნი-ამკარი | 1.85 | 2.80 | 4.00 | 1.11 | 1.26 | 1.64 |
| 21:00 | 3 | ნალჩიკი-ენერგია | 2.05 | 2.70 | 3.80 | 1.16 | 1.33 | 1.57 |
| | | 1 ივლისი | | | | | | |
| 16:00 | 4 | ცსკა მ-ყუბანი | 1.30 | 3.90 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.62 |
| 14:00 | 5 | მოსკოვი-ზენიტი | 2.70 | 2.70 | 2.60 | 1.35 | 1.32 | 1.32 |
| 16:30 | 6 | ხიმკი-ტომსკი | 2.10 | 2.70 | 3.60 | 1.18 | 1.32 | 1.54 |
| 20:00 | 7 | როსტოვი-სპარტაკი მ | 4.50 | 3.00 | 1.75 | 1.79 | 1.25 | 1.10 |
| 19:00 | 8 | რუბინი-დინამო მ | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 10 | ვოლერენგა-ვიკინგი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| | | 1 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 11 | ფრედრიკსტადი-ოდ გრენლანდი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 20:00 | 12 | სანდეფიორდი-ლილესტრიომი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| 20:00 | 13 | სტაბეკი-სტრიომსგოდსეტი | 1.60 | 3.40 | 4.85 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 22:00 | 15 | ბრანი-ტრომსიო | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | 2 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 16 | რუსენბორგი-ალესუნდი | 1.30 | 4.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.73 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 17 | ჰიონეფოსი-სკეიდი | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 20:00 | 18 | ლოვ ჰამი-ჰაუგესუნდი | 2.40 | 3.20 | 2.45 | 1.37 | 1.21 | 1.38 |
| 20:00 | 19 | მანდალი-ჰამარი | 4.70 | 3.50 | 1.50 | 2.00 | 1.13 | 1.04 |
| 20:00 | 20 | მოსი-ბოდიო გლიმტი | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 20:00 | 21 | ნოტოდენი-ბრინი | 2.45 | 3.20 | 2.35 | 1.38 | 1.19 | 1.35 |
| 20:00 | 22 | რაუფოსი-მოლდე | 3.60 | 3.40 | 1.70 | 1.74 | 1.15 | 1.13 |
| 20:00 | 23 | სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.55 | 3.50 | 4.50 | 1.07 | 1.15 | 1.96 |
| 20:00 | 24 | სპარტა ს-კონგსვინგერი | 2.30 | 3.20 | 2.55 | 1.33 | 1.20 | 1.41 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 55 | ლაპტი-ვიიკინგიტი | 1.40 | 3.90 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.40 |
| 20:30 | 56 | ტურკუ-ტამპერე | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 71 | სტ.პატრიკსი-დერი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 23:00 | 72 | შემროკი-ბოჰემიანი | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 73 | სლიგო-ლონგფორდი | 1.50 | 3.40 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.10 |
| | | 1 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 69 | ბრეი-უოტერფორდი | 1.90 | 3.00 | 3.80 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 08:00 | 75 | ნაგოია-კოფუ | 1.70 | 3.20 | 3.90 | 1.11 | 1.18 | 1.75 |
| 09:00 | 76 | იოკოჰამა ფკ-იჩიჰარა | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 11:00 | 77 | ნიიგატა-ჰიროსიმა | 1.75 | 3.20 | 3.60 | 1.13 | 1.17 | 1.69 |
| 11:00 | 78 | კაშიმა-ტოკიო | 1.65 | 3.30 | 4.30 | 1.10 | 1.19 | 1.86 |
| 11:00 | 79 | კაშივა-შიმიცუ | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 11:00 | 80 | ომია-გამბა | 3.70 | 3.20 | 1.80 | 1.71 | 1.21 | 1.15 |
| 14:00 | 81 | ივატა-ურავა | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 14:00 | 82 | კავასაკი-კობე | 1.80 | 3.20 | 3.55 | 1.15 | 1.19 | 1.68 |
| 14:00 | 83 | oიტა-იოკოჰამა ფმ | 2.40 | 3.00 | 2.55 | 1.33 | 1.23 | 1.37 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 85 | დალასი-ჰიუსტონი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 86 | კოლამბუსი-ნიუ იორკი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 23:45 | 87 | ჩივასი-ნიუ ინგლენდი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| | | 1 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 89 | კანზასი-ტორონტო | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 93 | ამერიკა-გოიასი | 2.90 | 3.00 | 2.15 | 1.47 | 1.23 | 1.25 |
| 23:00 | 94 | კრუზეირო-ვასკუ და გამა | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 23:00 | 95 | სანტოსი-გრემიო | 1.75 | 3.10 | 4.00 | 1.11 | 1.21 | 1.74 |
| 23:45 | 96 | ფლუმინენსე-ბოტაფოგო | 2.85 | 3.10 | 2.15 | 1.48 | 1.22 | 1.26 |
| 23:45 | 97 | ინტერნასიონალი-ატლეტიკო მნ | 1.75 | 3.10 | 4.00 | 1.11 | 1.21 | 1.74 |
| 23:45 | 98 | პარანა-ატლეტიკო პრ | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 99 | კორინთიანსი-პალმეირასი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი (20) კანადა | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 22:15 | 344 | ბრაზილია(20)-პოლონეთი(20) | 1.20 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.00 |
| 23:45 | 345 | აშშ(20)-სამ.კორეა(20) | 1.80 | 3.10 | 3.75 | 1.13 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 346 | კორეა სდრ(20)-პანამა(20) | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| 23:45 | 347 | არგენტინა(20)-ჩეხეთი(20) | 1.55 | 3.40 | 5.00 | 1.06 | 1.18 | 2.02 |
| | | 1 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 348 | იორდანია(20)-ზამბია(20) | 2.90 | 3.00 | 2.10 | 1.47 | 1.21 | 1.23 |
| 23:45 | 349 | იაპონია(20)-შოტლანდია(20) | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 350 | ჩილე(20)-კანადა(20) | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 351 | ესპანეთი(20)-ურუგვაი(20) | 1.50 | 3.30 | 5.20 | 1.03 | 1.16 | 2.01 |
| 23:45 | 352 | ნიგერია(20)-კოსტა რიკა(20) | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | 2 ივლისი | | | | | | |
| 22:15 | 353 | პორტუგალია(20)-ახ ზელანდია(20) | 1.12 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 3.54 |
| 23:45 | 354 | მექსიკა(20)-გამბია(20) | 1.70 | 3.10 | 4.00 | 1.09 | 1.19 | 1.74 |
| 23:45 | 355 | ავსტრია(20)-კონგო(20) | 2.00 | 3.00 | 3.10 | 1.20 | 1.21 | 1.52 |
| | | ამერიკის თასი 2007 (ვენესუელა) | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 137 | ბოლივია-ურუგვაი | 6.50 | 4.00 | 1.35 | 2.47 | 1.11 | 1.00 |
| 23:45 | 138 | ვენესუელა-პერუ | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |

კრივი

# ნახევრადჩაშლილი მინსკი, ვარიანი და კუპატაძე



**მოკრივეები** ათდღიან ბელარუსულ შეკრებას ქართულით ჩაანაცვლებენ. ჩვენი ნაკრები დღეს გორის რაიონის სოფელ ვარიანში დაბანაკდება და 10 ივლისამდე იქვე დარჩება, მერე კი მინსკში მაინც გაფრინდება, ოღონდ მხოლოდ ტურნირში მონაწილეობისთვის.

„A კატეგორიის ტურნირი 11-14 ივლისს გაიმართება და მასზე ორგანიზატორებმა ექვსი მოკრივით მოგვიწვიეს — გვითხრა გუშინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ შოშიაშვილმა** — სწორედ ამ ექვსეულით უნდა ჩავსულიყავით მინსკში 1 ივლისისთვის და ერთობლივ წვრთნებში უნდა ჩავრთულიყავით, მაგრამ ეს შეკრება სიძვირის გამო ჩაგვეშალა. მართლა ძალიან დიდ თანხაზე იყო საუბარი და ჩვენმა ფედერაციამ ქართული შეკრების ჩატარება გადაწყვიტა. თან ვარიანში სრული გუნდი, 11-12 კაცი მოემზადება. მათი უმეტესობა უკვე ჩამოსულია და დღეს საღამოს პირველად შევიდნენ დარბაზში, პარასკევს კი ყველა გამოძახებული აქ იქნება."

მწვრთნელისვე თქმით, ხანგრძლივი განშორების შემდეგ ნაკრებს შეუერთდება ევროპრიზიორი კონსტანტინე კუპატაძე (64 კგ). არადა, მინსკის შეკრების გავლის შემთხვევაში მისი დაბრუნება აგვისტომდე გადაიდებოდა.

შოშიაშვილის გუნდი გორულ ვარჯიშებს 10 ივლისს დაასრულებს. იმავე დღეს თბილისში ჩამოვა და მინსკში გადაფრინდება. წინასწარი ცნობით, ბელარუსის ტურნირზე ოცდახუთამდე ქვეყნის ნაკრები გამოვა. ქართული ექვსეული კი ასეთია: 48 კგ — ზვიად ხადური, 60 კგ — ვასილ ყაზიშვილი, 64 კგ — ლევან ღვამიჩავა, 75 კგ — გიორგი ნაკანი, 81 კგ — დავით წიკლაური, +91 კგ — ბექა ლობჟანიძე.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

# უკრაინა ევროპისკენ გზად და ხიდად




გურამ [illegible] ფოტო

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კიევშია, სადაც უკრაინელ თანატოლებთან ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად სამი ამხანაგური მატჩის გასამართად ჩავიდა. დავით უსტიაშვილის გუნდმა შეკრება ივნისის დასაწყისში თბილისში დაიწყო, ორი სპარინგ-მატჩიც გამართა ირანის ახალგაზრდულთან და გაიმარჯვა. სპარსელებთან თამაშმა უსტიაშვილი მთლად კმაყოფილი არ დატოვა და უკრაინასთან გაჯიბრებაზე ამყარებდა იმედს:**

— კიევში გუშინ ჩამოვედით და სასტუმრო „სპორტში" დავბინავდით. კარგად ვიმგზავრეთ, მაგრამ გუშინ სავარჯიშოდ რომ მივდიოდით, ცოტა გავწვალდით. სასტუმროდან დარბაზამდე ნახევარი საათის სავალია, თუმც საცობში მოვყევით და 2 საათი დაგვჭირდა მისასვლელად.

**— გუშინვე ივარჯიშეთ?**

— დიახ, სასტუმროში დავბინავდით, დავისვენეთ და სავარჯიშოდ წავედით. ძალიანაც არ დამიტვირთავს ბიჭები, ძირითადად სათამაშო ტაქტიკასა და კომბინაციებს ვამუშავებდით.

**— ვარაუდობდით, რომ უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების გარდა კიევში სხვა გუნდსაც გაეჯიბრებოდით და ამაზე რას იტყვით?**

— არა, მხოლოდ უკრაინელებს შევხვდებით. პირველი მატჩი ამ საღამოს გვაქვს.

**— უკრაინის ნაკრების ვარჯიშს ხომ არ დაესწარით?**

— სამწუხაროდ, ვერ მივასწარით. გუშინ დარბაზში რომ მივედით, უკრაინელებს დამთავრებული ჰქონდათ ვარჯიში. ისე კი ვიცი, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდია. განსაკუთრებით წინა ხაზი გამოირჩევა. ჰყავთ 220 და 214-სანტიმეტრიანი მოთამაშეები. ვნახოთ, რა იქნება, ამ საღამოს გავიგებთ მათ რეალურ ძალას.

**— თქვენთვის შედეგს ალბათ არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა...**

— რა თქმა უნდა, შედეგი მეორეხარისხოვანია. ეს თამაშები ხომ იმისთვის დაიგეგმა, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის მოვემზადოთ. ჩვენთვის ახლა მთავარი შეთამაშება და სწორი სათამაშო ტაქტიკის არჩევა-დამუშავებაა.

*მოგვიანებით, თამაშის დასრულების შემდეგ, ისევ შევეხმიანეთ დავით უსტიაშვილს, რომელმაც მთლად კარგი ამბავი ვერ გვახარა — ქართველმა ახალგაზრდებმა 62:82 წააგეს. მაგრამ უსტიაშვილმა კვლავ თქვა, რომ მისთვის შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონია. მისმა შეგირდებმა მეორე ტაიმი უკეთ ითამაშეს, მაგრამ საბოლოოდ დიდი სხვაობით მარცხს მაინც ვერ ასცდნენ. სტატისტიკა კი ითვლებოდა, მაგრამ ძალიან აბურდულად და ეს მონაცემებიც თავად უსტიაშვილის თქმით შესაძლოა, არასწორი იყოს.*

**ჭოჭუა (12), შერმადინი (12), მათიაშვილი (10), ფაცაცია (8), ბერიშვილი (8), გაფრინდაშვილი (6), ფარლალავა (6).**

— უკრაინა საკმაოდ სერიოზული გუნდია, აკი ვამბობდი კიდეც. მარშანდელთან შედარებით, როცა ამაზე გაცილებით ძლიერი შემადგენლობით ამ გუნდს 4 ქულა მოვუგეთ, ერთიორად აქვს მომატებული. თავადაც აღნიშნეს და ჩვენც დავინახეთ — ურაინელებს უკანა ხაზიც ისეთივე ძლიერი ჰყავთ, როგორც წინა. ჩვენს ცენტრებს უწევდათ ბრძოლა გაცილებით მაღალ მეტოქეებთან, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, დაბლებიც არანაკლებ ყოჩაღები და მარდები იყვნენ.

— პირველი 20 წუთი ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ეს იყო ჩვენი გუნდის პირველი სერიოზული გამოცდა. რამდენიმეს აქამდე ასეთი მაღალი დონის გუნდთან არც კი ეთამაშა და არც გამკვირვებია, თავიდან რომ გაგვიჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნახევრის მერე 26 ქულით ვაგებდით, მაინც ყველა მოთამაშეს მივეცი თავის გამოჩენის შანსი. მეორე ტაიმში, როცა ბიჭებმა ალღო აუღეს მეტოქის ტაქტიკას, თამაში გამოვასწორეთ, თუმც საერთო სურათის შეცვლა მაინც ვერ მოვახერხეთ.

— არავის გამორჩევა არ მინდა და სიმართლე გითხრათ, ამის გაკეთება ძნელიცაა. როცა 21 ქულას აგებ, ვერავიზე იტყვი, კარგად ითამაშაო. ყველამ დაახლოებით თანაბრად იმუშავა და მჯერა, რომ ბიჭები კიდევ მოუმატებენ.

— ეს მატჩი უდიდესი მნიშვნელობის იყო ჩვენთვის. დღეს დაინახეს ბიჭებმა, თუ როგორი მეტოქეები შეიძლება შეხვდნენ ევროპის ჩემპიონატზე. უკრაინა „ბ" დივიზიონშია, მაგრამ ის ელიტის გუნდებს ბევრით არ ჩამოუვარდება, შეიძლება არაერთ ჩვენს მომავალ მეტოქეზე ძლიერი იყოს.

— მჯერა, რომ ხვალ სულ სხვანაირად ითამაშებენ ჩვენები. უკვე იცნობენ მეტოქეს და თანაც გარკვეული გამოცდილება უკვე შეიძინეს დღევანდელი თამაშით. ვეცდებით, დარჩენილი მატჩები მაქსიმალურად გამოვიყენოთ და ევროპის ჩემპიონატის წინ გარკვეული ცოდნა-გამოცდილება დავაგროვოთ.

**ირაკლი პერტაია**

# ფაჩულია გარნეტის საქმეში ამერიკული ჭორები ქართველსაც შეეხო

**ეს ღამე** მეტად მშფოთვარე იქნებოდა ამერიკის საკალათბურთო ცხოვრებაში. 28 ივნისს ნიუ იორკის დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენში" დრაფტი 2007 გაიმართა — ნბა-ს გუნდები დიდი კალათბურთისთვის მომწიფებულ ნიჭიერ ახალგაზრდებს დაინაწილებდნენ.

დრაფტი დრაფტად და ამ ღამისთვის ნბა-ში ცალკე გრანდიოზული ტრანსფერი იგეგმებოდა. გუშინდელი ოკეანგაღმული პრესა წალეკა კევინ გარნეტის შესაძლო ტრანსფერზე ვარაუდებმა — მინესოტელ „მგლებზე" გული ასცრუებია „მგელთა მგელს" და სხვაგან, ამერიკელი ჟურნალისტების მტკიცებით, „ფინიქსში" გადასვლას აპირებს.

ეს თავისთავად გამორჩეული ტრანსფერია და ჩვენთვის ორმაგად საინტერესოც — გარიგებაში ზაზა ფაჩულიას გვარიც ტივტივებს. გუშინ, დღის პირველ ნახევარში ამერიკიდან წამოსული ინფორმაციული ნაკადი იუწყებოდა, რომ გაცვლაში სამი გუნდი მონაწილეობდა. „მინესოტა", „ფინიქსი" და „ატლანტა". მოგვიანებით ჯორჯიული კლუბის ადგილი „ბოსტონ სელტიქსმა" დაიკავა და ფაჩულიას გვარიც თავისთავად დავიწყებას მიეცა. რაკი გარიგება ჯერ არ მომხდარა, შესაძლოა, ნებისმიერი კომბინაცია განხორციელდეს, ანაც სულაც ისეთი რამ მოხდეს, რაც არც დაწერილა და თავშიც არავის მოსვლია. ამიტომაც ჩვენ ჩვენიანისა ვთქვათ...

ერთ-ერთი ჭორის თანახმად — გარნეტი „ფინიქსში" წავა, „სანსის" სუპერფორვარდი ამარე სტუდემაიერი კი „ატლანტას" შეუერთდება, ხოლო მინესოტელები ჯორჯიული კლუბისგან ასეთ კომპენსაციას მიიღებენ: ზაზა ფაჩულია, ენტონი ჯონსონი და დრაფტის 2 არჩევანი — მე-3 და მე-11 ნომრები.

ეს გარიგება ინტერნეტ-გიგანტ „yahoo"-ს სპორტულმა განყოფილებამ მთავარ თემად გამოიტანა პირველ გვერდზე და იშვიათად, რომ ასეთ დროს მათი ვარაუდი არ გამართლდეს, თუმც მალევე გამოქვეყნდა ახალ-ახალი ვერსიები და „ატლანტა" გარიგების შესაძლო სქემიდან ამოვარდა.

არავინ იცის, რა მოხდება — არც ის იქნება გასაკვირი, ფაჩულია რომ „მინესოტაში" გადავიდეს და არც ის, გარნეტის ტრანსფერი საერთოდ რომ ჩაიშალოს.

**ირაკლი პერტაია**







ზაზა ფაჩულიას შესაძლოა წუხელ გუნდი შეეცვალა, კევინ გარნეტმა კი ალბათ შეიცვალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი გამარჯვების ისტორია

# მეხსიერებას ერთი საინტერესო თვისება აქვს: გონებაში სამუდამოდ რჩება მთავარი, გამარჯვება




პირველ რიგში: ალექსანდრე კილაძე, გურამ მინაშვილი, ილარიონ ხაზარაძე, ლევან ინწკირველი;
მეორე რიგში: ნიკოლოზ ღვინაძე (ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე), რევაზ გოგელია,
იური ოზეროვი (სსკა ნაკრების მეორე მწვრთნელი), ამირან სხიერელი, ოთარ ქორქია (თბილისის „დინამოს" მწვრთნელი),
ვალერი ალთაბაევი, ლევან მოსეშვილი, უილიამ ჯონსი (ფიბას გენერალური მდივანი), ვლადიმერ უგრეხელიძე,
მადრიდის „რეალის" მწვრთნელი, ანზორ ლეჟავა, ვახტანგ დიდიძე (დელეგაციის ხელმძღვანელი)

**გოგი ფრანგიშვილი**

**ეს ფოტოები დღემდე არასდროს გამოქვეყნებულა არც ქართულ და არც უცხოურში პრესაში. ესპანეთის სპეცსამსახურების სპეციალური განკარგულებით ისინი 45 წლის განმავლობაში მადრიდის ერთ-ერთ არქივში საიმედოდ იყო დაცული. ზუსტად ეს დრო გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა 1962 წლის 29 ივნისს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში მადრიდის „რეალი" დაამარცხეს და ყველაზე პრესტიჟული ევროპული პრიზი მოიპოვეს. გენერალ ფრანკოს ფავორიტი კლუბის დამარცხება იმ ხანად მიუღებელი იყო ესპანელთათვის და ჟენევიდან დაბრუნებულ საკუთარ ფოტორეპორტიორებს აეროპორტშივე ჩამოართვეს ჯერ კიდევ გაუმჟღავნებელი ფირები... თუმცა დღეს, ჩვეულებრივი თბილისელი კაცის, ასევე ჩვეულებრივი მადრიდელი მეგობრების დახმარებით, საკმაოდ გვიან, მაგრამ მაინც ვიხილეთ ქართველთა გამარჯვების იმ დაუვიწყარი წამის ამსახველი კადრები**

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელი დებულების მიხედვით „დინამოს" და „რეალს" ორი შეხვედრის ჯამში, თბილისსა და მადრიდში უნდა გაერკვიათ უძლიერესი, მაგრამ პოლიტიკა კვლავ ჩაერია სპორტში. მოარული ხმებით ესპანელთა ლიდერის — ფრანკოს თანამზრახველებმა გვარიანი თანხა „მოუტეხეს" საბჭოელებს და ორ ქვეყანას შორის „შავმა კატამ" გაირბინა. ფიბა იძულებული გახდა კომპრომისული ვარიანტი შეეთავაზებინა მეტოქეთათვის და ფინალური მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, შვეიცარიაში დანიშნა.

ჩვენს მეხსიერებას ერთი საინტერესო თვისება აქვს, — გონებაში სამუდამოდ რჩება მთავარი, ამ შემთხვევაში — გამარჯვება. მეორეხარისხოვანი, ანუ დეტალები, ერთგვარად ჩრდილში ექცევა და თანდათან გვავიწყდება. ამჯერადაც ასე მოხდა. ძლიერი მეტოქე, ათლეტი პაიტაუერი, გრიგოლ რობაქიძესთან არშემდგარი შეხვედრა და დაძაბული ორი ტაიმი ყველამ გაიხსენა, მაგრამ როგორი იყო სასტარტო შემადგენლობა, ვინ რამდენი ქულა მოაგროვა, რომელი ქვეყნის პარტიულმა ლიდერებმა ჩაშალეს ორრაუნდიანი ფინალი და ბოლოს შესვეს თუ არა შამპანური ევროთასიდან, ზუსტად ვერც ამ მატჩის მონაწილეებმა გაიხსენეს.

თბილისის „დინამოს" იმ დიდი გუნდიდან, დღეს სამწუხაროდ „შესანიშნავი შვიდეულიღა" შემოგვრჩა: ლევან ინწკირველი, გურამ მინაშვილი, ილარიონ ხაზარაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი, ვალერი ალთაბაევი და ამირან სხიერელი. მეც, მათი და იმ პერიოდის ესპანური პრესის დახმარებით შევეცადე მთავართან ერთად აღმედგინა ჩრდილში მოქცეული „მეორეხარისხოვანი".

* * *

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ფიბამ 1958 წელს, ფრანგული სპორტული გაზეთის — „ეკიპის" ინიციატივით დააწესა. ვერცხლის კალათისათვის „ძველი სამყაროსა" და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონები იბრძოდნენ. პირველ ორ ტურნირში რიგელმა არმიელებმა იმარჯვეს. მომდევნოში ჩვენს დინამოელებსაც ჰქონდათ პრიზის დაუფლების შანსი, მაგრამ ფინალური შეხვედრები ბალტიისპირელებთან დათმეს და თასი კვლავ რიგაში დარჩა.

1961-62 წლების გათამაშებაში 24 გუნდი ჩაება. მადრიდის „რეალის" მეტოქე პირველ ეტაპზე მაროკოს „კასაბლანკა" იყო, ხოლო ქართველმა კალათბურთელებმა ტურნირი მერვედფინალიდან დაიწყეს.

* * *

**ლევან ინწკირველი:** ისევე როგორც ორი წლის წინ, სტარტზე ამჯერადაც ბუქარესტის არმიელთა გუნდი გვერგო. რუმინელებს საკმაოდ კარგი კალათბურთელები ჰყავდათ და ორივე მატჩი მცირე უპირატესობით მოვიგეთ 77:76 და 82:77.

ჩემპიონთა თასი მეხუთედ ტარდებოდა, მაგრამ უკვე ძალზე პოპულარული ტურნირი იყო. ალბათ ამ-

# ერთი გამარჯვების ისტორია

ტომაც, მომდევნო წრეში სტამბოლში რომ ჩავედით სათამაშოდ, „დარუშაფაკის" დარბაზი სავსე იყო გულშემატკივრებით. საშინელი ხმაური იყო, თუმცა თურქებს ვერც ამან უშველა და ადვილად გავიმარჯვეთ 84:49. მოვიგეთ თბილისშიც — 80:67.

* * *

სასტარტო მატჩებში იოლ წარმატებას მიაღწიეს ესპანელებმაც. ტურნირის მეთექვსმეტედფინალში „რეალმა" აფრიკული გუნდი დაამარცხა 84:46 და 82:38, მაგრამ შემდეგ ეტაპზე პირველი მარცხი თავად იწვნია. იტალიურ ვარესეში, „ინისმა" 82:80 გაიმარჯვა, თუმცა შინ მადრიდელებმა სრული რევანში აიღეს — 83:62. პირინეელთა კლუბი ვერც შემდეგ წრეში გადაურჩა წაგებას. ვარშავაში, „ლეგიამ" 73:62 მოუგო ესპანელებს და ეს უკანასკნელნი კვლავ „საკუთარ კედლებში" გამართული საპასუხო შეხვედრის შემდეგ გავიდნენ ფონს — 100:71.

ნახევარფინალში „რეალს" იუგოსლავიის „ოლიმპია" ელოდა, ხოლო თბილისის დინამოელებს კიდევ უფრო ძლიერ მეტოქესთან, ევროთასის იმჟამინდელ მფლობელებთან — მოსკოველ არმიელებთან უნდა გაერკვიათ ურთიერთობა.

* * *

**გურამ მინაშვილი:** იმ პერიოდში მოსკოველ არმიელებს კარგი შემადგენლობა ჰყავდათ: გენადი ვოლნოვი, ვიქტორ ზუბკოვი, ალექსანდრე ტრავინი... ამასთან მათ რიგიდან დაიმატეს იააკ ლიპსო. ნახევარფინალის ორივე მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. მოსკოვში, პირველი ტაიმი ფრედ 37:37 დასრულდა, ხოლო თბილისში მხოლოდ ერთი ქულით ვაჯობეთ 33:32. ბოლო წუთებამდე იქაც და აქაც დაბეჯითებით ვერავის მიანიჭებდით უპირატესობას. საბოლოოდ ორივე მატჩი მოვიგეთ 75:71 და 77:66.

**ვალერი ალთაბაევი:** ცსკა საბჭოთა არმიის სახე იყო და მის ავტორიტეტს ყველა უფრთხილდებოდა. მახსოვს, მოსკოველები რომ დავამარცხეთ, საკავშირო სპორტკომიტეტის კალათბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ სემაშკომ ერთი ამბავი ატეხა. ჩვენს მწვრთნელს ოთარ ქორქიას ეჩხუბა: „ეს რა ჰქენით, მადრიდის „რეალს" თქვენ ვერ მოუგებთ და საბჭოთა კალათბურთის ღირსებას დალუპავთო. დედის გინებამდე მივიდა საქმე.

* * *

იუგოსლავიური კალათბურთი იმხანად აღმავლობის გზაზე იდგა. ლიუბლიანაში 14 ქულიანი სხვაობით 105:91 მასპინძლებმა იმარჯვეს. განმეორებით შეხვედრაში, მადრიდში, საფინალო სასტვენამდე გაურკვეველი იყო, შეძლებდა თუ არა „რეალი" ამ „პასივის" დაძლევას. საბოლოოდ 69:53, მატჩი მაინც მადრიდელებმა მოიგეს და ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. ამრიგად, ფინალისტები გარკვეულია — თბილისის „დინამო" — მადრიდის „რეალი".

* * *

**ილარიონ ხაზარაძე:** ესპანეთისა და საბჭოთა კავშირს შორის გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობის გამო, ესპანურმა მხარემ ვიზებზე უარი შემოგვითვალა. ფინალური შეხვედრების ჩაშლის საშიშროება რეალური გახდა და ფიბას გენერალურმა მდივანმა უილიამ ჯონსმა კატეგორიული ულტიმატუმი წაუყენა მადრიდულ კლუბს. ან პირდაპირ წაგება ჩაეთვლებოდა „რეალს", ან ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდებოდა ერთი ფინალური მატჩი. ამასთან დინამოელთა მთელ ხარჯებს: მგზავრობა, სასტუმროში ცხოვრება, ავტობუსის მომსახურება და ა.შ. ყველაფერს ესპანელები დაფარავდნენ.

ჟენევის დარბაზის ტრიბუნებზე ათი ათასამდე მაყურებელი ეტეოდა, რომელთაგანაც ფინალურ მატჩში მხოლოდ ხუთი ქართველი ემიგრანტი იყო ჩვენი მხარდამჭერი: მწერალი გრიგოლ რობაქიძე, გალაქტიონ ტაბიძის მუზა მერი შერვაშიძე, ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი გუგუ კობახიძე, მენშევიკების პერიოდის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ქალიშვილი დიკა კედია და თუ არ ვცდები, კიდევ ერთი ქალბატონი, რომელიც დაიბადა ლუქსემბურგში, ახლანდელ ბოლნისში და კარგადაც იცოდა ქართული.

**ვლადიმერ უგრეხელიძე:** მადრიდული კლუბის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია გვქონდა. ვიცოდით, რომ ესპანელებმა ორი ამერიკელი — მორისონი და ჰაიტაუერი დაიმატეს. ეს უკანასკნელი აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატიც იყო, მაგრამ ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა რომში.

**ლევან ინწკირველი:** საღამოს დარბაზში სავარჯიშოდ რომ შევედით, მადრიდელებს უკვე დასრულებული ჰქონდათ წვრთნა და ცოტა ხნით ჩვენს დასაზვერად შეყოვნდნენ. მახსოვს, ზემოთა ტრიბუნებზე იდგნენ და ჩვენი მძიმე ცენტრალური თავდამსხმელი — ანზორ ლეჟავა რომ დაინახეს, ერთ მომენტში სიცილიც მოგვესმა. მათი ცენტრი — ჰაიტაუერი, უფრო ათლეტური აღნაგობის იყო და იფიქრეს, რომ ადვილად მოგვიგებდნენ.

* * *

როგორც ჩანს, ესპანელები დარწმუნებულები იყვნენ საკუთარ ძალებში. შესაძლოა, ზედმეტად თვითდაჯერებულებმა ობიექტურად ვერ შეაფასეს ქართველები. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ „დინამომ" ერთხელ უკვე ითამაშა ჩემპიონთა თასის ფინალში, რომ გურამ მინაშვილმა და ვლადიმერ უგრეხელიძემ რომის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო მომდევნო სეზონში „პტიცა" ევროპის ჩემპიონი გახდა. და ბოლოს, უნდა გაეთვალისწინებინათ ისიც, რომ დინამოელებმა ამ გათამაშებიდან თასის აწ უკვე ექსმფლობელები, მოსკოველი არმიელები გამოთიშეს.

* * *

**ამირან სხიერელი:** ასაკით მე ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი გუნდში და არც მეგონა, თუ ევროთასის ნახევარფინალში და მით უფრო, ფინალში მენდობოდა მწვრთნელი ოთარ ქორქია. სასტუმროს ნომერში ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილესთან, ბატონ ნიკოლოზ ღვინაძესთან ერთად ვცხოვრობდი. მან კარგად იცოდა რამდენიმე უცხო ენა და ადგილობრივ პრესას მიკითხავდა. სწორედ იქიდან შევიტყვე, რომ შვეიცარიელები უპირატესობას „რეალს" ანიჭებდნენ.

(გაგრძელება მე-14 გვერდზე)



ვლადიმერ უგრეხელიძის „პტიცას" აღმაფრენა. №10 ანზორ ლეჟავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთი გამარჯვების ისტორია

**29.VI.62. ჟენევა. ევროპის ჩემპიონათა თასის ფინალი**
**დინამო (თბილისი) 90:83 რეალი (მადრიდი)**

სასტარტო ხუთეულები

დინამო: მინაშვილი, უგრეხელიძე, ალთაბაევი, ლეჟავა, ხაზარაძე
რეალი: სევილიანო, ლუისი, ჰაიტაუერი, მორისონი, ემილიანო

*ძვირფასო ლიდა!*

*გუშინ გაიმართა აქ შეჯიბრი კალათბურთელების — ქართველებისა და ესპანელების — პირველობისათვის ევროპაში. გაგებული გექნება: გაიმარჯვეს ქართველებმა: შვიდი პუნქტით გაუსწრეს ესპანელებს (90:83).*

*მე ძალიან ვღელავდი. გასაგებია: სისხლი! ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირითვან ამოხეთქილი ძალა ქართული:*

*ცნობილია, რომ ქართველები საერთოდ პირველ შემართებაში „ხარჯავენ" მთელ „ცეცხლს" და შემდგომ ძალა აღარ ყოფნით: ცეცხლი აკლდებათ (მონღოლებს რომ არ გავგოთ ეს თვისება ქართველთა, საქართველოს დაპყრობა ძალიან გაუჭირდებოდათ. „ქართლის ცხოვრებაში" არის სიტყვა შესახებ ამისა)... თუ პირველ ნახევარში 2 წერტით გაუსწრეს ჩვენებმა ესპანელებს, — მეორე ნახევარში 5-ით. ცეცხლი არა თუ მოაკლდათ, — პირიქით: კიდევაც მოემატათ. ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სპორტულ გამარჯვებას სცილდება: ბევრად, ბევრად მეტია უკანასკნელზე. როგორც ქართველი — მე მხრებში გავიმართე.*

*გამარჯვებულები არ „აყვინჩილებულან" გამარჯვებით. ერთი მათგანის სახეზეც ვერ ამოიკითხავდი: „ხომ გაჯობეთ!" ზრდილად, რაინდულად, ქართველურად გაუწოდეს ხელი მოპირდაპირეთ. დაუვიწყარი სურათი!*

*გამარჯვების თითქმის ნახევარი გამარჯვებულთა ხელმძღვანელს უნდა ვაკუთვნოთ: ოთარ ქორქიას...*

*გავიფიქრე: მივსალმებოდი გამარჯვებულებს, — გადავიფიქრე. შეიძლება „ეეცხოვით-მეთქი", გავივლე გულში (მიხვდები — რის გამო). სიხარულთან ერთად ბასრი ტკივილი ვიგრძნე სულის სიღრმეში.*

*შენი გრიგოლ*
*30.VI.1962*



თბილისის „დინამოს" კაპიტანი გურამ მინაშვილი (მარცხნივ) ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასით

(მე-13 გვერდიდან)

პირველ წუთებზე ქართველი კალათბურთელები დაწინაურდნენ: 2:0, 4:0, 6:2, მაგრამ მალე ლუისი, ჰაიტაუერი და ემილიანო ათანაბრებენ ანგარიშს 6:6, ხოლო შემდეგ წინაც გადიან 8:10, 8:12.

* * *

**გურამ მინაშვილი:** ჩვენ ყველაზე მეტად ამერიკელ ცენტრთან გაგვიჭირდა ბრძოლა. ჰაიტაუერი 205 სანტიმეტრი სიმაღლის იყო, მაგრამ სწრაფად მოძრაობდა და კარგადაც დარბოდა. ვიდრე ანზორ ლეჟავა დაცვაში ჩამოვიდოდა, როგორმე უნდა შეგვეჩერებინა იგი. როგორც ყოველთვის, მე ამჯერადაც ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის წინააღმდეგ ვთამაშობდი და თან ჰაიტაუერსაც არ ვაშორებდი თვალს.

* * *

ქართველმა კალათბურთელებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში 12:12, თუმცა მადრიდელთა მომდევნო შეტევის დროს დაჯარიმდნენ და „რეალი" ისევ დაწინაურდა 12:13.

* * *

**ილარიონ ხაზარაძე:** როგორც მახსოვს, პირველი 15 წუთი ვიყავი მოედანზე და სამი ქულა შევძინე გუნდს, მაგრამ ჩემი ამოცანა მაინც შევასრულე. მატჩის წინ ბატონმა ოთარმა დამავალა, რომ ანზორ ლეჟავას ჰაიტაუერის წინააღმდეგ ბრძოლაში დავხმარებოდი. ამიტომაც წინიდან ვკეტავდი მას, რომ როგორმე ბურთი არ მიეღო. ტაიმის ბოლოს დავიღალე და მწვრთნელს შეცვლა ვთხოვე.

* * *

თამაში ქართველი კალათბურთელების უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ შეხვედრის პირველ ნახევარში 4-ჯერ გათანაბრდა ანგარიში. ესპანელებმა ამდენჯერვე მოახერხეს დაწინაურებაც. დაახლოებით მე-12 წუთიდან დინამოელებმა ზედიზედ რამდენიმე ლამაზი კომბინაცია წამოიწყეს და შედეგიანადაც დაასრულეს: 25:24, 32:27, 36:29.

* * *

**ვალერი ალთაბაევი:** წესით, მე საერთოდ არ უნდა მეთამაშა ჟენევაში. საბჭოთა ნაკრებთან ერთად, იუგოსლავიის ტურნეს დროს მოსკოველმა არმიელებმა პროვოკაცია მომიწყვეს. ნოვიკოვმა შემაგინა და საკადრისი ალიყურიც მიიღო. ამის შემდეგ „ნევიეზდნოი" გავხდი, რის გამოც შვეიცარიაში ვერ მივყვებოდი გუნდს. „დინამოს" ხელმძღვანელობამ საქართველოს ცკ-ის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს თხოვნით მიმართა, მან კი, თავის მხრივ, ვიღაც მალაჩინოსანს დაურეკა მოსკოვში. ერთი სიტყვით, მოსკოვში რომელიღაც ინსტრუქტორმა ნოტაციის კითხვა რომ დამიწყო, გავაჩერე და ავუხსენი, რომ ჩვენში დედის გინება დაუშვებელია. მითხრა, უცხო ქვეყანაში მაინც არ უნდა გეცემა. ინციდენტი ჩვენს ავტობუსში მოხდა და ამდენად, ეს საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიად ითვლება-მეთქი, ვუპასუხე. გაეცინა და გამომიშვა.

* * *

პირველი ტაიმის ბოლოს დინამოელებმა 7-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და შესვენებაზე 2-ქულიანი სხვაობით წავიდნენ 38:36.

* * *

**გურამ მინაშვილი:** შემთხვევით გავიგე, რომ რაღაც სადამო ეწყობოდა, რომელშიც გრიგოლ რობაქიძეც მონაწილეობდა. ვიფიქრე, წავალ-მეთქი, მაგრამ ვყოყმანობდი. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილესთან, ბატონ ნიკოსთან მივედი და ნებართვა ვთხოვე. მითხრა:

— წადი, მაგრამ, ვითომ მე არ ვიცი, ფრთხილად იყავიო.

ბოლოს მაინც გადავიფიქრე. დღესაც ვნანობ, რომ არ წავედი.

**ილარიონ ხაზარაძე:** თამაშის შემდეგ ერთ-ერთმა ქართველმა გვითხრა — რობაქიძეს ძალიან უნდა თქვენი ნახვაო. ამ დროისთვის ჩვენ სპორტის სასახლის პირველი გასასვლელიდან უნდა გავსულიყავით, მაგრამ მოულოდნელად გვითხრეს, მეექვსედან გადითო. მაშინვე ვიფიქრე, რომ უშიშროების სამსახურმა სპეციალურად შეგვიცვალა დარბაზის გასასვლელი და ბატონ გრიგოლთან შეხვედრა აგვაცილა.

* * *

მატჩის მეორე ნახევარი უფრო დაძაბული გამოდგა. თამაშის განახლებისთანავე მადრიდელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ დაწინაურდნენ. ოთხი-ხუთი წუთის განმავლობაში ქართველი კალათბურთელები მდევრების როლში აღმოჩნდნენ. 38:40, 40:42, 42:44, 44:46, 46:48, 48:50.

* * *

**ლევან ინწკირველი:** ერთ მომენტში გაგვიჭირდა თამაში. ჰაიტაუერი ფიზიკურად ჯობდა ჩვენს ბიჭებს. შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი ძლიერი კალათბურთელის წინააღმდეგ არასდროს გვითამაშია. „რეალისგან" განსხვავებით, ჩვენ მთელი გუნდით ვთამაშობდით და უნდა ითქვას, რომ ყველამ იდეალურად შეასრულა თავისი მოვალეობა, მათ შორის სათადარიგო რევაზ გოგელიამაც.

* * *

ქართველ კალათბურთელებს კიდევ ერთხელ დასჭირდათ ანგარიშის გათანაბრება 50:50 და აქედან დაიწყო ესპანელების „დასასრულის დასაწყისი" — 51:50, 57:54, 66:59, 77:66, 83:70.

**ვლადიმერ უგრეხელიძე:** ყველა თავგამოდებით თამაშობდა და ყველამ დიდი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. ოთარ ქორქიამ ჩინებულად უხელმძღვანელა გუნდს, თუმცა მასთან ერთად, გიორგი ავალიშვილიც უნდა გავიხსენოთ, რომელიც ბატონ ოთარამდე წვრთნიდა გუნდს და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს გამარჯვებას.

* * *

„რეალი" მებრძოლი გუნდი აღმოჩნდა. ფარ-ხმალი ბოლომდე არ დაუყრია. ლევან მოსეშვილმა და ლევან ინწკირველმა 90-მდე აიყვანეს ქართველთა მონაგარი... ესპანელებმა კი მხოლოდ სხვაობის შემცირებაღა შეძლეს — 90:83. თბილისის „დინამო" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელია!

**ამირან სხიერელი:** ფინალური სასტვენის ხმა არ გამიგონია, მაგრამ მახსოვს, რომ ძალიან გახარებულები და ბედნიერები ვიყავით, რომ ქართულმა კლუბმა ევროპის თასი მოიპოვა. ჩვენ ამხელა კონტინენტზე საუკეთესონი ვიყავით. კიდევ მახსოვს, რომ ფიბას გენერალურმა მდივანმა, უილიამ ჯონსმა მინაშვილს დიდი თასი გადასცა, ხოლო შემდეგ ჩვენთან ერთად გადაიღო ფოტო.

* * *

ჩვენს მეხსიერებას ერთი საინტერესო თვისება აქვს... ამიტომ, მოდით, მოვუსმინოთ იმ კაცს, ვინც ცხელ გულზე, ემოციებით დატვირთულმა მთელი სიგრძე-სიგანით გაიაზრა ამ გამარჯვების მნიშვნელობა და ემიგრაციაში ნანახ-განცდილის შესახებ წერილი გამოუგზავნა ლვიძლ დას.

* * *

ქართველ კაცს, ალბათ ბევრი მატჩის შეფასება (გნებავთ რეცენზია დაარქვით) წაუკითხავს, მაგრამ მსგავად ლაკონური და ემოციური, როგორც გრიგოლ რობაქიძისა, ვეჭვობ...

* * *

**ილარიონ ხაზარაძე:** უცნაურია, ვიდრე მოედანზე ვიყავი, ყველაფერი მახსოვს. მეორე ტაიმს სათადარიგოთა სკამიდან ვუყურებდი და ვერაფერი გავიხსენე. ნერვიულობისგან ჭკუაზე არ ვიყავი. ისიც ვერ მოვიფიქრეთ, ფოტოგრაფისთვის ცოტა ფული მიგვეცა და სამახსოვროდ მაინც დაგვრჩენოდა დაჯილდოების ფოტო. მოგვიანებით, წლების შემდეგ, ვეძებეთ ეს ფოტო, მაგრამ ვერ მივაგენით. იქნებ ფიბას გენერალური მდივნის — უილიამ ჯონსის ოჯახშია დარჩენილი რამე. ბოლო პერიოდში სამჯერ ვიყავი ესპანეთში, კვლავ ვერ მივაგენი ვერაფერს. არც „რეალის" კლუბის მუზეუმში არ არის არაფერი.

ჟენევაში, მაშინ ჟურნალისტი არავინ გაგვაყოლეს. მეორე დღეს ისე წამოვედით, ადგილობრივი გაზეთების ყიდვაც ვერ მოვახერხეთ. თავად თასი კი ერთი წელი ინახებოდა თბილისში და ასლიც არ დაუმზადებიათ. ასე რომ, აღარაფერი დაგვრჩა სამახსოვროდ.

* * *

...თუმცა დღეს, ჩვეულებრივი თბილისელი კაცის, მწერალ დავით ტურაშვილის, ასევე ჩვეულებრივი მადრიდელი მეგობრის, ფრანსისკო გუაიტას დახმარებით, საკმაოდ გვიან, მაგრამ მაინც ვიხილეთ ქართველთა გამარჯვების ის დაუვიწყარი წამი.

* * *

**დავით ტურაშვილი:** ამ ფოტოების მოძებნა ჯერ კიდევ შარშან ზამთარში მთხოვეს კალათბურთის გულშემატკივრებმა. მადრიდში რომ ჩავედი, პოპულარული სპორტული გაზეთის — MARCA-ს არქივში იმ პერიოდის სტატიები ვიპოვნე, მაგრამ ფოტოები არ დაუბეჭდავთ. მოგვიანებით ესპანელი ჟურნალისტების დახმარებით მალაგაში მივაგენით იმ ფოტოგრაფის ოჯახს, ვინც მატჩი გადაიღო. აღმოჩნდა, რომ ფირი მაშინვე ჩამოართვეს. როგორც საბჭოელებს არ უყვარდათ მარცხის აფიშირება, ასევე ფრანკოს რეჟიმის დროს ესპანელების დამარცხებას არ ალიარებდნენ. 1962 წლის 30 ივნისის MARCA დიდი შრიფტით აქვეყნებს სათაურს: „ოვაციები ორივე გუნდს სენსაციური ფინალის დასასრულს". სტატიაში კი წერია:

— „ჰაიტაუერმა 32 ქულით უკეთეს მეტოქეს აჯობა... მიუხედავად დამარცხებისა, მადრიდელებს მთელი მატჩის განმავლობაში რუსები შებოჭილები ჰყავდათ, თუმცა მოწინააღმდეგის გამარჯვება მაინც სამართლიანი იყო".

ბოლოს, სახელმწიფო არქივში მივედით. იქ ძიების პროცედურა ხანგრძლივია. არც იცოდნენ, ჰქონდათ თუ არა რამე ამ მატჩის შესახებ. ავუხსენი, რომ საქართველოდან ვარ, ნაწვალები ხალხი ვართ და თან 29 ივნისს საიუბილეო თარიღი გვაქვს. კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ, თავადაც ინერვიულეს. ამ დღეებში მათგან ეს ფოტოები მივიღე, ფულიც არ გამომართვეს, ქართველებს გვაჩუქეს.

ქართველი კაცის ყველა გამარჯვება გიჟივით მიხარია, მით უმეტეს, ამ დონის. რომ ვიცოდე, ჩემს ფოტოს, 45 წლის შემდეგაც დაუწყებენ ძებნას, თავს მოვიკლავდი, ისე ვითამაშებდი...

ჩვენს ვეტერანებს, იმ მატჩის მონაწილეებს, ყველას გილოცავთ დღევანდელ იუბილეს, ჩვენგან კი სახსოვრად გქონდეთ თქვენი გამარჯვების ის დაუვიწყარი წამი.

**P. S.** გმადლობთ, დათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უიმბლდონი 2007. ბალახი საპრიზო 11 282 710 £

28 ივლისი

## კაცები

### მეორე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:2 7:5 6:1; **მარატ საფინი** (26, რუსეთი) — აისამ-ულ-ჰაკ ქურეში (პაკისტანი) 6:4 6:2 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი** (21, რუსეთი) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 4:6 6:4 6:4 6:4; **ტომი ჰაასი** (13, გერმანია) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 6:3 7:6 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:4 6:3 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (20, ესპანეთი) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 6:4 6:4 6:7 7:6; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (17, ესპანეთი) 6:3 6:4 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (15, ხორვატია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:4 6:3 6:4; **ედუარდო როძე-ვასელინი** (არგენტინა) — ხუან-იგნასიო ჩელა (24, არგენტინა) 7:6 6:4 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 7:6 7:6 3:6 2:6 6:1; **ჟო-უილფრედ ტსონგა** (საფრანგეთი) — ნიკოლა ლაპენტი (ეკვადორი) 6:4 6:2 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:2 6:2 6:1; **ნიკლას კიფერი** (გერმანია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4 6:3 6:4; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — აგუსტინ კალერი (29, არგენტინა) 7:6 6:4 6:7 6:3; **იონას ბიორკმანი** (19, შვედეთი) — ეუ-ცუო ვანგი (ტაივანი) 6:0 6:3 6:7 6:4; **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — ტომი რობრედო (11, ესპანეთი) 6:3 7:6 6:3; **მიხაილ იუჟნი** (14, რუსეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:4 4:6 3:6 7:5 6:4; **იარკო ნიემინენი** (18, ფინეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 3:6 6:3 7:6 2:6 6:3; **რობინ სოდერლინგი** (28, შვედეთი) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:3 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (4, სერბეთი) — ამირ დელიჩი (აშშ) 6:3 3:6 6:3 7:6; **ტომაშ ბერდიხი** (7, ჩეხეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 7:6 7:6 3:6 7:6; **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 7:5 7:6 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 3:6 5:7 7:6 6:4 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (23, არგენტინა) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 6:2 6:3 5:7 6:3; **მარკოს ბაღდატისი** (10, კვიპროსი) — ნიკოლა დევილდერი (საფრანგეთი) 6:0 7:6 6:7 6:2; **გილერმო კანასი** (22, ესპანეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:7 6:1 7:6 7:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ვერნერ ეშჰაუერი (ავსტრია) 6:2 6:4 6:1

## ქალები

### მეორე წრე

**ალონა ბონდარენკო** (24, უკრაინა) — აგნეს სტავაი (უნგრეთი) 6:2 6:3; **პატი შნიდერი** (15, შვეიცარია) — რობერტა ვინჩი (იტალია) 2:6 6:3 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (10, სლოვაკეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:5 7:6; **კატარინა სრებოტნიკი** (19, სლოვენია) — ნიკა ოჟეგოვიჩი (ხორვატია) 6:1 6:1; **ლუსი შაფაროვა** (25, ჩეხეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:4 3:6 6:3; **მიკაელა კრაიჩეკი** (31, ჰოლანდია) — კეტი ობრაიენი (ბრიტანეთი) 6:0 6:1; **ანა ჩაკვეტაძე** (8, რუსეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:2 6:1; **ანა ივანოვიჩი** (6, სერბეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4 6:3; **არავანე რეზაი** (საფრანგეთი) — ფრანჩესკა შიავონე (29, იტალია) 6:4 2:6 6:4; **ნადია პეტროვა** (11, რუსეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:2 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (14, ჩეხეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3 6:2; **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) — ტატიანა გარბინი (21, იტალია) 6:1 6:3; **მარა სანტანჯელო** (28, იტალია) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:0 7:6; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — ბეტანი მატეკი (აშშ) 7:6 6:4; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — მარტინა მიულერი (32, გერმანია) 6;1 4:0 (უარი); **ტამირა პაშეკი** (ავსტრია) — ტატიანა გოლოვინი (17, საფრანგეთი) 6:2 3:6 6:1; **ელენა დემენტიევა** (12, რუსეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2 6:2; **აკიკო მორიგამი** (იაპონია) — დინარა საფინა (13, რუსეთი) 6:4 7:5; **ვინუს უილიამსი** (23, აშშ) — ჰანა შრომოვა (ჩეხეთი) 6:2 6:2; **აი სუგიამა** (26, იაპონია) — ალიზ კორნე (საფრანგეთი) 4:6 6:0 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 7:5 6:2; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) 6:0 6:3; **ამელი მორესმო** (4, საფრანგეთი) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:1 6:2


ტიმ ჰენმანი

AFP


მარია შარაპოვა

AFP

# უნდა მოვუმატო, არადა...

## ფედერერს საფინისგან შარშანდელიც ახსოვს

ბრიტანეთს უკანასკნელი იმედიც გამოეცალა — ტიმ ჰენმანის საჩემპიონო შანსები შეიძლება, არცთუ დიდი იყო, მაგრამ ადგილობრივი გულშემატკივრები იმას მაინც იმედოვნებდნენ, რომ თავიანთ კერპს კიდევ ერთი-ორჯერ შეავლებდნენ თვალს. თავად 32 წლის ვეტერანიც უფრო შორს გასვლას უმიზნებდა, მაგრამ უიმბლდონის სამგზის ნახევარფინალისტმა წლევანდელი სვლა მეორე წრეში შეწყვიტა. ისე, შანსია, რომ ჰენმანი სულაც ბოლოჯერ გავიდა სათაყვანებელ ცენტრალურ კორტზე — ტიმს უკვე კარგა ხანია ჩასჩიჩინებენ, წასვლის დროაო. ხოლო თუ ბრიტანელის წლევანდელ რეგრესს გავითვალისწინებთ, გასაკვირი არ იქნება, ჰენმანმა კორტი სამუდამოდ დატოვოს.

მაგრამ მოდით, გუშინდელს მივუბრუნდეთ, როცა ჰენმანმა კიდევ ერთი სპექტაკლი დადგა და შეიძლება, თავის გულშემატკივრებს ბლომად ნერვული უჯრედები მოუსპო, საბოლოოდ ყველა მაინც ნასიამოვნები დატოვა. ტიმმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, როცა თავისზე 7 წლით უმცროს ფელიჩიანო ლოპესს ორსეტიანი ჩამორჩენა აღმოუფხვრა. არადა, ორი ტაიბრეიკისა და თითქმის ორი საათის შემდეგ ვინ წარმოიდგენდა, რომ ასაკშეპარულ ტიმს მოძრაობის თავი მაინც შერჩებოდა. თუმც ბრიტანელი სწორედ აქ ჩაირთო და საქმე მეხუთე სეტამდეც მიიყვანა.

მაგრამ მეხუთე სეტში უკვე ესპანელი გამოცოცხლდა, მაშინ, როცა ჰენმანმა აშკარად მოუკლო — სურვილი ერთია, მაგრამ წლებს მაინც თავისი მიაქვს და ვეტერანმაც ვერ გაუძლო ამხელა დატვირთვას. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ჰენმანი გადამწყვეტ პარტიაში სულ მთლად წაზდა და მხოლოდ გეიმი მოიგო.

სამაგიეროდ, როჯერ ფედერერმა წმინდა ფორმალობად აქცია თავისი კორტზე ყოფნა — დიად ალპელს გუშინწინ წვიმამ არ დააცალა, თორემ ხუან მარტინ დელ პოტროსთვის ორი სეტი მოეგო და მესამეში 2:0 იყო წინ. ჰოდა, გუშინ "მხიარული როჯერი" საქმის შორს გადადებას მოერიდა და ყველაფერი 11 წუთში მოამთავრა. ამით შვეიცარიელმა ბალახზე ზედიზედ მოგებული მატჩების რაოდენობა დაამრგვალა, იმარჯვა რა 50-ედ.

აი, მომდევნო წრეში ფედერერს საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელის მარატ საფინის სახით. იკითხავთ, ბალახის მოძულე რუსმა ამ დიად კაცს რა უნდა დააკლოსო, მაგრამ საქმე მთლად ასეც არ არის. ჯერ ერთი, მარატი სეზონში ალბათ საუკეთესოდ თამაშობს — არ ნერვიულობს, ჩოგნებს არ ამტვრევს და ამის მაგივრად საკმაოდ მაღალი დონის თამაშს აჩვენებს. მეორეც, ფედერერის „ხათრით" საფინი სულ ივიწყებს რა საფარზე უწევს თამაში და ალპელს ყოველთვის გვარიან თავსატეხს უჩენს ხოლმე. ბოლოს და ბოლოს მათი ერთადერთი საბალახო დაპირისპირება გავიხსენოთ, რაც შარშან ჰალეს ფინალში მოხდა და რომელშიც ფედერერმა დიდი წვალებით, მხოლოდ მესამე სეტში იმარჯვა. თუ ამ ყველაფრისა არ გჯერათ, თავად "მხიარულ როჯერს" მოუსმინეთ:

„მარატი ის მოთამაშეა, ნებისმიერის გაამწარება რომ ძალუძს. დიდი იმედი მაქვს, ჩემთან შეხვედრისას ისეთი დღე არ ექნება, როცა ყველაფერი გამოსდის, თორემ საქმეები კარგად არ წავა. ერთში კი დარწმუნებული ვარ — უნდა მოვუმატო, არადა..."

როგორც ხედავთ, მომავალ დაპირისპირებას ფედერერი ძალიან სერიოზულად ეკიდება. ამასობაში კი ტურნირს ტომი რობრედო დაემშვიდობა — ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ესპანელი ყველაზე მაღალნომრიანი განთესილია, რომელიც დამარცხდა. თორემ ბალახის მოძულე რობრედოს ამ საფარს ჩვეული უეინ არტურსისგან მარცხს სენსაცია ნაღდად არ დაერქმევა.

ქალებში კი ჯერჯერობით ყველა ბობოლა უდანაკარგოდ მიიწევს წინ — მარცხი რას მიქვია და, უკვე სეტის წაგებასაც აღარ „კადრულობენ".

მარია შარაპოვამ ისე ფიცხად დაიწყო სევერინ ბრემონდის განადგურება, გეგონებოდა რომელიმე ლონდონურ VIP — წვეულებაზე აგვიანდებოდა. რუსმა პრიმამ პირველ სეტში პირდაპირ კორტზე ჩამარხა ფრანგი, რომელსაც გეიმიც არ აღებინა. ბრემონდი მეორე პარტიაში გაჯიქდა და შეიძლება, მაშა ოდნავ აანერვიულა კიდეც, მაგრამ ამზე მეტს გალი ვეღარ გასწვდა.

არ გასჭირვებია თავისი შეხვედრის მოგება ვინუს უილიამსსაც, რომელიც ფორმაში შედისო, ჯერ ვერ ვიტყვით, მაგრამ თავის საწყის მატჩთან შედარებით რომ მოუმატა, ფაქტია. უფროსმა გუშინ დიდი ჩოგბურთის პატარა გაკვეთილი ჩაუტარა თინეიჯერ ალა კუდრიავცევას და მესამე წრეში უპრობლემოდ შეგრიალდა.

ამ ორის გარდა შემდეგი წრის საგზურები დაიბევეს სხვა ფავორიტებმაც — ამელი მორესმომ, ანა ივანოვიჩმა, ელენა დემენტიევამ, ანა ჩაკვეტაძემ და ნიკოლ ვაიდიშოვამ ისე დამაჯერებლად მოიგეს, რომ მათ სიძლიერეში ეჭვის შეტანა დაუნახაობა იქნებოდა.

ბოლოს კი ქალთა ბადეში მომხდარ ორ მცირე მოულოდნელობაზეც ვთქვათ — ლონდონის დატოვება მოუწევს მარატის უმცროს დაიკო დინარას, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა ჯიუტ იაპონელ აკიკო მორიგამის. რუსამდე კი სახლის გზას ახლად ტრავმამოშუშებული და შესაბამისად, აშკარად ცუდ ფორმაში მყოფი ტატიანა გოლოვინი გაუყენეს — ფრანგი ავსტრიელმა ტამირა პაშეკმა გაამწარა.

**ბახა ლომჯავილი**

## დორტმუნდის სუპერტურნირი

გერმანია. 23 ივნისი — 1 ივლისი

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| სერგეი ალექსეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | არკადი ნაიდიჩი (გერმანია) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |

# ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად გამოცდილება



ვლადიმირ კრამნიკი

**მსოფლიოს ჩემპიონმა** ვლადიმირ კრამნიკმა 17 წლის მაგნუს კარლსენი დაამარცხა და ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა. სუპერტურნირის ფავორიტმა ვიშვანათან ანანდმა კი მეორეზე აინაცვლა. მან მასპინძელ არკადი ნაიდიჩს მოუგო და პირველადგილოსანს ისევ ნახევარი ქულით ჩამორჩება.

კრამნიკმა და კარლსენმა კატალონიური დებიუტი გაითამაშეს. ყაიმი არც ერთს არ აძლევდა ხელს და ორივემ მოსაგებად დაიწყო ბრძოლა. მათ ასპარეზზე მსუბუქი ფიგურები გამოიყვანეს, ერთმანეთს შეუტიეს და გაცვლებს შეუდგნენ. რუსმა ვიკინგს ცენტრიდან ეტლით დაარტყა, მეომრები დაუხოცა და ხარისხით დაწინაურდა. კარლსენმა საპასუხოდ ერთი-ორი გაიბრძოლა, მაგრამ გამოცდილ კრამნიკს ვერაფერი დააკლო და 30-ე სვლაზე დანებება არჩია.

გამოცდილების ხარჯზე იმარჯვა ანანდმაც. მისი და ნაიდიჩის შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმც ენდშპილში ინდუსმა პატარა გერმანელი შეცდომაზე დაიჭირა და ქულა აართვა.

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვლადიმირ კრამნიკი | 3,0 |
| 2. | სერგეი ალექსეევი | 2,5 |
| 3. | ვიშვანათან ანანდი | 2,5 |
| 4. | პეტერ ლეკო | 2,0 |
| 5. | შაჰრიარ მამედიაროვი | 2,0 |
| 6. | მაგნუს კარლსენი | 1,5 |
| 7. | ბორის გელფანდი | 1,5 |
| 8. | არკადი ნაიდიჩი | 1,0 |

# შიროვმა ფოროსი გააშავა

**უკრაინულ** სანატორიუმ ფოროსში აეროსვიტის ტურნირი მიმდინარეობს. შეჯიბრის სპონსორი ადგილობრივი ავიაკომპანია აეროსვიტია და საპრიზო ფონდად 110 ათასი დოლარს გამოსულა.

ტურნირზე მეცხრე ტური დასრულდა. ლიდერთა პოზიციაზე კვლავაც ორი უკრაინელია — სერგეი კარიაკინი და ვასილ ივანჩუკი ექვს-ექვსი ქული პირველობენ ცხრილს და მესამეზე მყოფ ალექსეი შიროვს ნახევარი ქულით უსწრებენ.

ბოლო სამ ტურში შიროვმა ორჯერ შავი ფიგურებით იმარჯვა და ტურნირის მოგების შანსი გაუჩნდა.

მეცხრე ტურში შიროვი რუს დმიტრი იაკოვენკოს დაუპირისპირდა. მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს, ცენტრში მანევრირება დაიწყეს და გაცვლებს მიმართეს. თანდათან შიროვი გააქტიურდა, იერიშებს მოუმატა და 21-ე სვლაზე ხარისხით დაწინაურდა. იაკოვენკომ ახალი ტაქტიკა შეიმუშავა, თუმც შეტევისას არ გაამართლა და 53-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

შიროვმა ამ ტურნირზე შავი ფიგურებით სამი პარტია მოიგო და ორგანიზატორებმა წარადგინეს ნომინაციაზე: — „შავი ფიგურებით



ყველაზე მეტი გამარჯვებისთვის“. ნომინაციის გამარჯვებულს საპრიზო ფონდიდან 4 ათას დოლარი ერგება.

136 სვლა გაგრძელდა ივანჩუკისა და კუბელი ლენერ დომინგესის დაპირისპირება. დებიუტში ლათინოსი გააქტიურდა და უპირატესობას დაეუფლა, თუმც უკრაინელმა თამაში გაათანაბრა და ძვირფასი ნახევარი ქულა მოიპოვა.

**ლუკა გეგეჭკორი**



# უროს გოგო

## ტატიანა ისვრის და ჭედავს



შუა კვირაში მძლავრ ტურნირს უმასპინძლა ჩეხეთის ქალაქმა ოსტრავამ. მძლეოსნობის ერთ-ერთმა ყველაზე მქუხარე სახელმა, ეთიოპიელმა ჰაილე გებრსელასიემ იქ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა: ერთი გარბენით მსოფლიოს ორი რეკორდი მოიპოვა, რაზეც გუშინაც გაუწყეთ.

ოსტრავაში სხვაც ბევრი მოხდა საინტერესო, განსაკუთრებით უროს ტქორცნაში. მსოფლიოში თუ ვინმეს შეუძლია უროს ძალიან შორს ტყორცნა, სამშაბათს ყველანი ამ სამრეწველო ქალაქის მომცრო, მაგრამ კოხტა სამძლეოსნო მოედანზე შეიკრიბნენ. ორგანიზატორები შეჯიბრს მსოფლიოს კიდევ ერთი რეკორდის მოლოდინით ადევნებდნენ თვალს.

რეკორდის იმედით ისროდა უროს ჯანმრთელ-ტანმრთელი რუსგოგო ტატიანა ლისენკო, მაგრამ თავისივე რეკორდამდე 90 სანტიმეტრი დააკლდა. არადა, ლისენკო მძლავრად კი გამოვიდა — ფაქტობრივად პირველივე ცდაზე მოიპოვა გამარჯვება, როცა ურო 77,32 მეტრს იქით დასცა და მაყურებელს მსოფლიოს რეკორდის იმედი გაუღვივა. მეორე ცდაზე მან კიდევ უფრო წინ წაიწია და 77,71 მეტრზე გასტყორცნა რკინის ჭურვი, რაც ყველა დროის მესამე შედეგია. მაგრამ ამის იქით ველარ წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ცდებიც კარგად შეასრულა — 73,69, 75,91 და 76,13. მისი ხუთი შედეგიდან მხოლოდ ერთს აჯობა გერმანელმა ბეტი ჰიდლერმა (73,74) და ასე დაიკავა მეორე ადგილი, თორემ ლისენკოს ახლოსაც რომ ვერავინ მიუვიდოდა, ეს ხომ დაწყებამდეც ცნობილი იყო. ეს გოგო მხოლოდ 23 წლისაა და დიდი ტურნირი ჯერაც არ მოუგია, მაგრამ უკვე რამდენჯერმე გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი და მსოფლიოს ყველა დროის 9 საუკეთესო შედეგიდან 7 მისი გახლავთ. ლისენკოს ქალთა უროს ტყორცნაში დაახლოებით ისეთივე ფიგურად ქცევის შანსი აქვს, როგორიც კაცთა ჭოკით ხტომაში იყო სერგეი ბუბკა, რომელმაც მთელი სამყარო სადღაც ქვევით დატოვა, თვითონ კი ლამის ყოველ ტურნირზე სანტიმეტრობით აუმჯობესებდა რეკორდს და სულ 20-ზე მეტი მოუგროვდა.

ლისენკოს ყველაფერი წინ აქვს, ოსტრავაში კი მას წინ მსოფლიოს რეკოდი ჰქონდა და ხალხს ხომ დასწყვიტა გული და თავადაც იმედგაცრუებული დაპარაკობდა — კარგ ფორმაში და კარგ გარემოში ვიყავი, მეტოქეებიც მძლავრი მყავდა და იმედი მქონდა, რეკორდს განვაახლებდიო.

ლისენკო პირველი იყო, ჰიდლერი — მეორე, მესამე ადგილი კი ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებს, კუბელ იფსი მორენოს (73,00) შეხვდა. 70,69 შედეგით მხოლოდ მეოთხე იყო პოლონელი კამილა სკოლიმოვსკა, რომელმაც სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადა ჯერ კიდევ 17 წლისამ მოიგო.

ოსტრავაში, რაღა თქმა უნდა, კაცთა შეჯიბრიც გაიმართა და აქაც ვერავინ შეეტოქა სახეობის ლიდერს, ბელარუს ივან ტიხონს. თუმც მას, ლისენკოსგან განსხვავებით, ზღაპრული შედეგები არ უჩვენებია, ერთხელ გადაცილა ურო 80 მეტრს, როცა 80,19-ზე გასტყორცნა და ახლოსაც არავინ გაიკარა.

**კოტე ყორშია**



# ჩრდილი ქარსაც აქვს

**ყოველთვის,** როცა ეს ორი უსწრაფესი და ულამაზესი იახტა ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდება, ყველა იმაზე საუბარს იწყებს, რომ „ალინგი“ და „თიმ ნიუ ზელანდი“ ჭეშმარიტად ერთმანეთის ღირსები არიან, ხოლო ამერიკის თასის ეს გათამაშება ერთ-ერთ ყველაზე დრამატულია ამ უძველესი სპორტული შეჯიბრის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში.

საბოლოო გამარჯვება ხუთ მოგებამდეა და დარჩენილი გაცურვები წინებზე არანაკლებ საინტერესო რომ იქნებოდა, ეს მეოთხე რეისის დროსაც გამოჩნდა. პირველი სამი გაჯიბრების შემდეგ „თიმ ნიუ ზელანდი“ 2:1 ლიდერობდა და კიდევ რომ გაემარჯვა, 3:1 დაწინაურებული უპირატესობას ხელიდან ალბათ აღარც გაუშვებდა. შეჯიბრიც ხიბლს დაკარგავდა. ეს ჩვენზე კარგად, რაღა თქმა უნდა, შვეიცარიულმა ეკიპაჟმა იცოდა, ამიტომ ჩემპიონებმა ამ გაცურვაში მთელი თავისი გამოცდილება ჩადეს და პრეტენდენტის ძლევით 2:2 გაათანაბრეს ანგარიში.

ოთხშაბათს ვალენსიის აკვატორიაში დიდ ტალღებს არ შეუშლიათ ხელი იახტებისთვის. ქარიც მართალია ცოტა მშვიდად, მაგრამ სტაბილურად ქროდა და მიმართულების ცვალებადობით ნერვებს არ უშლიდა „ზღვის მგლებს“. ცურვაც ამინდს დაემსგავსა — მშვიდი და უშფოთველი იყო და სულ არ გავდა მესამე რეისს, რომელშიც ერთი მხილველის სიტყვებით ორი ნავის შეჯიბრება კალათბურთის თამაშს დაემსგავსა.

„ალინგი“ თავიდანვე დაწინაურდა და მართალია, უსაშველოდ ვერ მოწყდა მეტოქეს, მაგრამ გამუდმებით წინ იყო. შვეიცარიელებმა სანაოსნო ტაქტიკა შეცვალეს და მოწინააღმდეგის ჩახუთვის მეთოდს მიმართეს. ისინი მუდამ დამოუკიდებლად ცურვის ტიქტიკას იქენებდნენ და მოწინააღმდეგესთას თითქმის არ ჰქონდათ კონტაქტი. ასე სულ აგებდნენ ახალზელანდიელებთან პირქარში შეჯიბრს. ახლა კი ჩემპიონებმა მეტოქესთან ერთად, უფრო სწორად მეტოქის წინ ცურვა ირჩიეს და საზღვაო ტერმინით რომ ვთქვათ, საკუთარი აფრებით „ქარს უჩრდილავდნენ“ მას. ამ ტაქტიკამ გაამართლა „ნიუ ზელანდმა“ პირქარში ვერ მოიპოვა უპირატესობა, ზურგქარში კი „ალინგის“ ეკიპაჟი თავისი ნავის სისწრაფეს იყენებდა და 25-35 წამით უსწრებდა მეტოქეს. „ნიუ ზელანდი“ რამდენჯერმე მიუახლოვდა „ალინგის“, მაგრამ გასწრება კი ველარ შეძლო და ზუსტად ნახევარი წუთით გვიან გადაკვეთა ფინიში.

„ეს სერია ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე წინა — ამბობს „ალინგის“ მფლობელი, შვეიცარიელი მილიარდერი ერნესტო ბერტარელი — მაშინ ჩვენ 5:0 მოვიგეთ. ახლა კი ყველაფერი სულ სხვაგვარადაა. მე ამ ოთხ დღეში ბევრად უფრო მეტი ვისწავლე ნაოსნობაზე, ვიდრე ბოლო 7 წელიწადში, ანუ იმ დროში, როცა მე ამ საქმეში ჩავერთე.“

ხუთშაბათი შესვენების დღე იყო, მეხუთე შეხვედრა კი დღეს გაიმართება.

**კოტე ყორშია**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge